

## თარგმანი

### კულტურული ტრავმის თეორიის კვლადაკვალ

ჯეფრი ჩარლზ ალექსანდერი

(წიგნიდან: Cultural Trauma and Collective Identity. University of California Press, 2004, გვ. 1-30)

კულტურული ტრავმა თავს იჩენს მაშინ, როდესაც რამე საშინელი მოვლენა წარუშლელ კვალს ტოვებს კოლექტივის წევრების ჯგუფურ ცნობიერებაზე, სამუდამოდ ასვამს დაღს მებსიერებას და ფუნდამენტურად ცვლის მათ მომავალ იდენტობას.

კულტურულ ტრავმას ჩვენ განვიხილავთ, პირველ რიგში, როგორც სამეცნიერო კონცეფციას და გთავაზობთ მრავალმნიშვნელოვან არსობრივ და მიზეზობრივ დამოკიდებულებას ერთმანეთთან კავშირის არმქონე მოვლენებს, სტურქტურებს, წარმოდგენებსა და ქმედებებს შორის. ეს ახალი მეცნიერული კონცეფცია შუქს ფენს პოლიტიკური მოღვაწეობის და სოციალური პასუხისმგებლობის სფეროებსაც. სოციალური ჯგუფები, ნაციონალური ერთობები, ზოგჯერ კი მთელი ცივილიზაციები სწორედ კულტურული ტრავმის კონსტრუირებით არა მხოლოდ ადგენენ კოგნიტურ დონეზე ადამიანური ტანჯვის არსებობის და წარმოშობის წყაროს, არამედ, ყოველივე ამის გამო, საკუთარ თავზე იღებენ არსებით პასუხისმგებლობას. კოლექტივის (ერთობის) წევრები ადგენენ ტრავმის წარმოშობის მიზეზებს და ამით საკუთარ თავზე იღებენ მორალურ პასუხისმგებლობას. ეს მათ საშუალებას აძლევს, გაიზიარონ სხვათა ტანჯვა. შეიძლება თუ არა, რომ „სხვების“ ტანჯვა საკუთარ ტანჯვად აღვიქვათ? რამდენადაც ეს ნამდვილად შესაძლებელია, საზოგადოება აფართოებს „ჩვენ“ ჯგუფის საზღვრებს. თუმცა ამასთანავე, სოციალურ ჯგუფს შეუძლია უარი თქვას და ხშირად უარყოს კიდევ „სხვების“ ტრავმა. ამის გამო მათ არ შეუძლიათ მორალური კუთხით განიხილონ და აღიქვან ეს პრობლემა. „სხვების“ ტანჯვის რეალურობის უარყოფით ჯგუფი არა მხოლოდ ამცირებს თავის პასუხისმგებლობას, არამედ საკუთარ ტანჯვაშიც ხშირად სწორედ ამ „სხვებს“ ადანაშაულებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს სოციალური ჯგუფები უარს აცხადებენ, მონაწილეობა მიიღონ ქვემოთ აღწერილი ტრავმის ფორმირების პროცესში, ზღუდავენ სოლიდარულ თანაგანცდას და მარტო ტოვებენ „სხვებს“ განსაცდელში.

ყოველდღიური ენა (კომუნიკაცია) და რეფლექსურობა

ამ ახალი თეორიული კონცეფციის უდიდესი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის მყარადაა ფესვგადგმული ყოველდღიურ ცხოვრებაში. მეოცე საუკუნეში, თავდაპირველად დასავლურ საზოგადოებებში, ხოლო შემდეგ უკვე მთელ მსოფლიოში ხალხი მუდმივად საუბრობდა, რომ ისინი ტრავმირებულნი იყვნენ რომელიმე მოვლენით, ძალადობის ან დაშინების აქტით, გამოცდილებით, ან ხშირად მკვეთრი და მოულოდნელი სოციალური ტრანსფორმაციითა თუ ცვლილებებით.<sup>1</sup> ხალხი მუდმივად საუბრობს ტრავმაზე მაშინ, როდესაც აღწერენ არა მხოლოდ პირად, არამედ იმ საზოგადოების მიერ გადატანილ (განცდილ) მოვლენას, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ტრავმირებულ ორგანიზებულ ჯგუფზე მათი ლიდერის გადადგომის თუ გარდაცვალების, მმართველი რეჟიმის დაცემის თუ მოულოდნელად მომხდარი ცვლილებისას. აქტორები ხშირად საუბრობენ გადატანილ ტრავმაზე, როდესაც მათი ინდივიდუალური თუ საზოგადო გარემო მოულოდნელად იცვლება არასასურველი და გაუთვალისწინებელი გზით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველდღიური კომუნიკაციიდან გამომდინარე, ვიცით, რომ საუბარია ინტუიციურად გასაგებ და ხშირად განცდილ საკითხზე. ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ საკითხის ამგვარი აქტუალურობა ნაყოფიერი ნიადაგია სოციალური მეცნიერული კონცეფციისთვის. ეს ერთგვარი ხრიკია რეფლექსიისთვის, რათა საზოგადო (საერთო) განცდიდან რაღაც უცნობ განცდაზე გადაინაცვლოთ, რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემს, ვიფიქროთ სოციოლოგიურ ჭრილში, რადგან ტრავმა არ არის ბუნებრივად არსებული მოვლენა; მას ქმნის საზოგადოება.

ტრავმის ასეთი დამკვიდრება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მისი განსხვავებული კუთხით განხილვა, რაც ასე მნიშველოვანია თავდაპირველი ინტუიციური შემეცნებისთვის, გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, რომლის დაძლევა აუცილებელია. ტრავმის კვლევითი კუთხით განხილვას აქამდე ხშირად ხელს უშლიდა ტრავმის საყოველთაოდ დამკვიდრებული განმარტება. მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ეს საყოველთაოდ აღიარებული განმარტება წარმოადგენს „ტრავმის პოპულარულ თეორიას“ (“Lay trauma theory”), რომელსაც აუცილებლად უნდა დავუპირისპიროთ ტრავმის კვლევის უფრო თეორიული, რეფლექსიური მიდგომა.

### **ტრავმის პოპულარული თეორია - “Lay Trauma Theory”**

ტრავმის პოპულარული თეორიის მიხედვით, ტრავმა ბუნებრივად განვითარებული მოვლენების შედეგია, რომელიც ამსხვრევს ინდივიდუალური თუ კოლექტიური აქტორების კეთილდღეობის განცდას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დამანგრეველი ენერგია - „ტრავმა“-მომდინარეობს უშუალოდ მოვლენებიდან. ამგვარ დამანგრეველ მოვლენებზე რეაქცია -

„ტრავმის განცდა“ - დაუყოვნებელია და არარეფლექტირებული. ამ პოპულარული თეორიის შესაბამისად, ტრავმული გამოცდილება თავს იჩენს მაშინ, როდესაც ტრავმული მოვლენები უშუალო ურთიერთქმედებაშია ადამიანურ ბუნებასთან. ადამიანები საჭიროებენ უსაფრთხოებას, წესრიგს, სიყვარულს და ურთიერთობას. თუ რამე მოვლენა საფრთხეს უქმნის ამ მოთხოვნილებებს, მაშინ, პოპულარული თეორიის მიხედვით, სულაც არ არის გასაკვირი, რომ შედაგად ხალხი ტრავმირებული რჩება.<sup>2</sup>

## განათლების ფილოსოფია

არსებობს ტრავმის პოპულარული თეორიის ორი ძირითადი ნაირსახეობა: „განათლების ფილოსოფია“ და „ფსიქონალიზი“. განათლების ფილოსოფიის განმარტებით, ტრავმა არის ინდივიდისა თუ საზოგადოების რაციონალური რეაქცია მკვეთრ ცვლილებაზე. ტრავმის წარმომშობი ობიექტები თუ მოვლენები მკაფიოდ აღიქმება აქტორების მიერ, მათი რეაქცია ნათელია, ამ რეაქციის შედეგები კი პრობლემის გადაჭრის და წინსვლისკენაა მიმართული. როდესაც კარგ ადამიანებს ცუდი რამ ემართებათ, ისინი განიცდიან შოკს, აღშფოთებას, გულისწყრომას. განათლების ფილოსოფიის პერსპექტივიდან, ცხადია და ჩვეულებრივად აღიქმება ის ფაქტი, რომ პოლიტიკური სკანდალები აღშფოთების მთავარი მიზეზია; ეკონომიკური დეპრესია - სასოწარკვეთის, წაგებული ომები კი სიბრაზის და დაუცველობის შეგრძნებას ტოვებს; სტიქიურ უბედურებებს პანიკამდე მიყვავართ; ფიზიკური ძალადობა ძლიერ შფოთვას იწვევს, ტექნოლოგიურ კატასტროფებს მსგავსი რისკების მიმართ ფობიაც კი მოსდევს. ასეთი ტიპის ტრავმების მიმართ საპასუხო რეაქცია მდგომარეობს იმ მიზეზების გამოსწორებაში, რომელთაც ტრავმა გამოიწვიეს. წარსულის მეხსიერება მომავალზე ფიქრს განსაზღვრავს. შეიმუშავენ სამოქმედო პროგრამებს, აღადგენენ ინდივიდების თუ კოლექტივის ჩვეულ გარემოს და ტრავმის შეგრძნება თანდათანობით გაუფერულდება.

სულ მცირე ხნის წინ, არტურ ნილმა თავის ნაშრომში „ნაციონალური ტრავმა და კოლექტიური მეხიერება“ (National Trauma and Collective Memory), მოახდინა ტრავმის პოპულარული თეორიის ილუსტრირება განათლების ფილოსოფიის პერსპექტივიდან. იმის დასადგენად, ტრავმირებულია თუ არა ესა თუ ის საზოგადოება, ნილი ყურადღებას ამახვილებს თავად მოვლენის თავისებურებებზე. ის ამტკიცებს, რომ ნაციონალურ ტრავმას ადგილი ქონდა მაშინ, როცა „ინდივიდუალური თუ კოლექტიური რეაქციები ვულკანის ამოფრქვევის მსგავს მოვლენებზე იმდენად მძაფრი იყო, რომ ამან შეარყია სოციალური სამყაროს საძირკველი“ (Neal 1998, ix). მოვლენა ტრავმულია საზოგადოებისთვის, როცა ის „განსაკუთრებულია“, მოვლენა, რომელსაც ისეთი „ფეთქებადი ძალა“ აქვს, რომ ის იწვევს „ნგრევას“ და „რადიკალურ

ცვლილებებს ... დროის მოკლე მონაკვეთში“ (Neal 1998, 3, 9-10). მოვლენების ეს ობიექტური, ემპირიული მახასიათებლები „იპყრობს მოსახლეობის ყველა მთავარი ქვეჯგუფის ყურადღებას“, იწვევს საზოგადოების ემოციურ რეაქციას და ყურადღებას, რადგან რაციონალურ ხალხს სხვაგვარი რეაქცია, უბრალოდ, არ ძალუძს (Neal 1998, 9-10). „ტრავმული გამოცდილების უარყოფა ან იგნორირება, ისევე როგორც „განზრახ უყურადღებობა“ თუ „ცინიკური ინდიფერენტულობა“ - არაგონივრული არჩევანია“ (Neal 1998, 4, 9-10). იმდენად, რამდენადაც აქტორები გონიერები არიან, ტრავმულ მოვლენებს საბოლოოდ პროგრესამდე მივყავართ: „თავად ის ფაქტი, რომ დამანგრეველი მოვლენა მოხდა“, ნიშნავს, რომ „ეს ახალი შესაძლებლობაა ინოვაციისთვის და ცვლილებებისთვის“ (Neal 1998, 18). სხვაგვარად რომ ვთქვათ, სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ „სამოქალაქო ომის, დიდი დეპრესიის და მეორე მსოფლიო ომის ტრავმის შედეგად, (ამერიკელი) ხალხის ცხოვრებაში გრძელვადიანი ცვლილებები განხორციელდა“ (Neal 1998, 5).

მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ განვიხილავთ ტრავმის ნატურალისტურ განსაზღვრებას განათლების ფილოსოფიის კუთხით, ძალზედ საყურადღებოა ნილის პოზიცია. ის ყურადღებას ამახვილებს კოლექტივზე და არა ინდივიდზე, ამდენად, გვერდს უვლის ინდივიდზე ფოკუსირებულ ფსიქოანალიტიკურ მოსაზრებებს, რომელიც ქვემოთაა განხილული. ნილი გამოყოფს არა ინდივიდუალურ იდენტობებს, არამედ კოლექტიური ტრავმის გამომწვევ მოვლენებს. იგი ხელმძღვანელობს ნოვატორული სოციოლოგიური მოდელით, რომელიც განხილულია კაი ერისონის მეტად გავლენიან წიგნში „Everything in its Path“. აპაჩების პატარა თემს თავსდამტყდარი გამანდაგურებელი წყალდიდობის ეს სულისშემძვრელი მიმოხილვა ასევე ნატურალისტური ხედვის ჩარჩოებშია მოქცეული, თუმცა ამან საფუძველი ჩაუყარა მოცემულ წიგნში განხილულ სპეციფიკურ სოციოლოგიურ მიდგომას. ერისონის თეორიული ინოვაცია მდგომარეობს იმაში, რომ მან კონცეპტუალურად განასხვავა კოლექტიური და ინდივიდუალური ტრავმა. ქვემოთ მოყვანილ აბზაცში კარგად ჩანს ის თავისებურებები და ნატურალიზმი, რომლებიც დამახასიათებელია კოლექტიური ტრავმისთვის:

„ინდივიდუალურ ტრავმად მე განვიხილავ დარტყმას ფსიქიკაზე, რომელიც ადამიანის დამცავ მექანიზმში აღწევს იმდენად მოულოდნელად და უხეში ძალით, რომ მასზე შეუძლებელია ქმედითი რეაქცია..... მეორე მხრივ, კოლექტიური ტრავმის შემთხვევაში, მე ვგულისხმობ დარტყმას სოციალური ცხოვრების საბაზისო ნაწილზე, რომელიც არღვევს ხალხის ურთიერთკავშირს და ზღუდავს საზოგადოების ერთიანობის განცდას. კოლექტიური ტრავმა ხალხის ცნობიერებაში აღწევს ნელა და ვერაგულადაც კი, ამიტომ მას არ ახასიათებს მოულოდნელობა, რომელიც, ჩვეულებრივ, „ტრავმასთან“ ასოცირდება. მაგრამ ეს მაინც შოკის

ნაირსახეობაა, თანდათანობით გაცნობიერება იმისა, რომ საზოგადოება აღარ არსებობს როგორც თანადგომის ეფექტური წყარო, რომ „მე“-ს მნიშვნელოვანი ნაწილი გაქრა ... „ჩვენ“ აღარ არსებობს როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული წყვილი ან როგორც ურთიერთდაკავშირებული უჯრედები საზოგადოების ერთიან სხეულში (Erikson 1976, 153-54).

როგორც მეორე თავში სმელზერი ამტკიცებს, ტრავმის პოპულარულმა თეორიამ ყოველდღიურ ენასა და სამეცნიერო დისკუსიაში დამკვიდრება „ომის შოკის“ (shell shock) გააზრების მცდელობისას დაიწყო. პირველი მსოფლიო ომის დროს უამრავი ჯარისკაცი იტანჯებოდა ამ შოკით, რომელიც მეოცე საუკუნის სხვა ომების შედეგად კიდევ უფრო გაფართოვდა და გართულდა. როდესაც გლენ ელდერმა შეიმუშავა „ცხოვრებისეული გზის ანალიზი“, რათა დაედგინა, როგორ გავლენას ახდენს ინდივიდუალურ იდენტობაზე მეოცე საუკუნის სოციალური კატაკლიზმების კოჰორტული (ერთმანეთის თანამდევი) ეფექტები, ის და მისი მოწაფეები ეყრდნობოდნენ განათლების ფილოსოფიის პოზიციიდან ტრავმის საწყის განმარტებას (Elder 1974). მსგავს განმარტებებს ხშირად ვაწყდებით სხვა დისციპლინებთან მიმართებაშიც, მაგალითად, მრავალრიცხოვან კვლევებში, რომლებიც ეხება მე-19 საუკუნის ევროპასა და შეერთებულ შტატებში ფრანგული რევოლუციის „ტრავმის“ გრძელვადიან შედეგებს. ტრავმის პოპულარული თეორიის ვერსიების ცალკეულმა ელემენტებმა, რომლებიც დაკავშირებულია განათლების ფილოსოფიასთან, გავლენა მოახდინა ჰოლოკოსტის და ასევე მეოცე საუკუნეში მომხდარ მასობრივი მკვლელობების თანამედროვე გააზრებაზე.

### ფსიქოანალიტიკური გააზრება

ტრავმის ამგვარი რეალისტური გააზრება ფეხს იკიდებს როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე მეცნიერულ აზროვნებაშიც. ის უფრო ხშირად ხვდება ფსიქოანალიტიკური ხედვის ჭრილში რომელიც როგორც ტრავმის პოპულარული თეორიის, ასევე თანამედროვე სამეცნიერო გააზრებისთვის ცენტრალურ საყრდენად იქცა. ეს მიდგომა არაცნობიერი ემოციური შიშებისა და ფსიქოლოგიური თავდაცვის კოგნიტურად დამახინჯებული მექანიზმების მოდელს განათავსებს გარეგან დამანგრეველ მოვლენას და აქტორის შინაგან ტრავმულ რეაქციას შორის. ამ თეორიის მიხედვით, როდესაც კარგ ადამიანებს რამე ცუდი ემართებათ, ისინი შესაძლოა ისე შეშინდნენ, რომ დათრგუნონ ტრავმის განცდაც კი. პირდაპირი შემეცნების და რაციონალური გააზრების მაგივრად, ტრავმული მოვლენა ილექება აქტორის წარმოსახვაში და მეხსიერებაში. მომხდარ მოვლენაზე პასუხისმგებლობის აღება და ტრავმის გადალახვის მცდელობა წარუმატებლად მთვარდება, რადგან ტრავმა სუბლიმირებულია (ჩანაცვლებულია). მოცემული

ფსიქოლოგიური შეხედულება ეყრდნობა ტრავმული მოვლენების ნატურალისტურ ხედვას, თუმცა ხაზს უსვამს ადამიანის მრავალმხრივ შესაძლებლობებს, შეგნებულად გაიაზროს ტრავმული მოვლენები. ჭეშმარიტება მომხდარის შესახებ გაუცნობიერებლად მიიღება. შედეგად სიმართლე ქვეცნობიერში ინაცვლებს და ზუსტი მეხსიერება და საპასუხიმგებლო ქმედება ამის მსხვრპლი ხდება. ამგვარად, ტრავმული შეგრძნებები მომდინარეობას არა მხოლოდ უშუალოდ მოვლენისგან, არამედ მათი დათრგუნვის მძაფრი სურვილისგან. ტრავმა გადაიალახება არა მხოლოდ სამყაროში მოვლენების გამოსწორებით, არამედ მაშინ, როდესაც ეს მოხდება ადამიანის შინაგან „მე“-ში.<sup>3</sup> ამ შეხედულების მიხედვით, ფსიქოლოგიური წონასწორობა და სიმართლე შეიძლება ისევ აღდგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, „როცა მეხსიერება დაბრუნდება“, როგორც აღნიშნავს ჰოლოკოსტის ისტორიის მკვლევარი სოლ ფრიდლენდერი.

ეს ფრაზა გახლავთ ფრიდლენდერის წიგნის სათაური, რომელიც ჰოლოკოსტის პერიოდში, გერმანიასა და საფრანგეთში გატარებულ მისი ბავშვობის მოგონებებს ასახავს. ფრიდლენდერი ხატოვანი ენით აღწერს მის მიერ ადრე გადატანილი ადგილგადანაცვლების და დევნის გამოცდილებას და ამტკიცებს, რომ განსაკუთრებით მძიმე ტრავმული მოვლენების გაცნობიერება მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როდესაც ფსიქოლოგიური თვითანალიზი და მოვლენათა „გადამუშავება“ (გადახარშვა) (“working trough”) საშუალებას მისცემს აქტორებს, სრულად აღიდგინონ ქმედითუნარიანობა (Friedlander 1979, 1992). ფსიქოანალიზის თეორიის გავლენით აღბეჭდილი ეს მსჯელობა იმ ინტელექტუალური პარადიგმის ხორცშესხმაა, რომელიც უკანასკნელი სამი დეკადის მანძილზე შეიქმნა ჰოლოკოსტის მოვლენების საპასუხოდ და რომელთაც განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს კოლექტიური მეხსიერების და მეხსიერებაში არსებული თავდაპირველი მოგონებების სიმბოლური ნარჩენების ხელახლად განცდის მნიშვნელობას.<sup>4</sup>

რამდენადაც ფსიქოანალიტიკურ პრაქტიკაში მეხსიერების ეს ნარჩენები თავისუფალი ასოციაციების საშუალებით ზედაპირზე ამოტივტივდება, ამდენად ისინი ლიტერატურული ქმნილებების საშუალებით ხვდებიან სოციალურ ცხოვრებაში. გასაკვირი არ არის, რომ ლიტერატურული ინტერპრეტაცია, რომელიც სიმბოლური ნიმუშების ჰერმენევტიკულ მიდგომას წარმოადგენს, ერთგვარად, ფსიქოანალიტიკური ჩარევის აკადემიური ეკვივალენტია. ტრავმის პოპულარული თეორიის ფსიქოანალიტიკური ვერსიის ძირითადი თეორიული და ემპირიული დებულებები სხვადასხვა ჰუმანიტარული დისციპლინების მეცნიერებმა შეიმუშავეს. ფსიქოანალიზის ტრადიციაში ემოციის ფორმირებისას ენის მნიშვნელობაზე ყურადღება გამახვილა ჟაკ ლაკანმა. სწორედ ლაკანის თეორიებმა, ჟაკ დერიდას

დეკონსტრუქციასთან კომბინაციაში, გავლენა მოახდინა ტრავმის კვლევებზე ჰუმანიტარულ სფეროში.

ამ მიდგომის ფორმირებაში ყველაზე გავლენიან მკვლევრად, ალბათ, ქეთი ქერუთი უნდა მივიჩნიოთ. მას ეკუთვნის ესეები „მოუთხოვნიელი გამოცდილება: ტრავმა, ნარატივი და ისტორია“, (Unclaimed Experience: Trauma, Narrative, and History) და კრებული მისი რედაქციით „ტრავმა: მეხსიერების კვლევა“ (Trauma: Explorations in Memory), (Caruth 1995, 1996).<sup>5</sup> ქერუთი ყურადღებას ამახვილებს კომპლექსურ გარდასახვებზე, რომლებიც არაცნობიერი ემოციებით ზემოქმედებენ ტრავმულ რეაქციებზე. მისმა კვლევებმა დიდი დახმარება გაგვიწია კულტურული ტრავმის გააზრებისას.<sup>6</sup> თუმცა, მიყვება რა ფსიქოანალიტიკურ ტრადიციას, ქერუთი თავის ანალიზში ეყრდნობა თავდაპირველი ტრავმული მოვლენის ძალასა და ობიექტურობას და აცხადებს, რომ „ფროიდის ინტუიცია და მისი ძლიერი გატაცება ტრავმული გამოცდილებით“ აკავშირებს ტრავმულ რეაქციას „მოვლენების ხელახალ უნებლიე განცდასთან, რომელიც შეუძლებელია უბრალოდ წარსულში დავტოვოთ“ (Caruth 1995, 2). ქერუთის მიხედვით, შეუძლებელია მოვლენების უბრალოდ წარსულში დატოვება, რადგან „გონებრივ განცდაში რღვევა“, როგორც ის აღნიშნავს, „მეტისმეტად ადრე ხდება“. ამგვარი სიმძაფრე გონებას საშუალებას არ აძლევს, ბოლომდე გაიაზროს მოვლენა. მოვლენის განცდა ხდება „მეტად მოულოდნელად ...იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მისი ბოლომდე გააზრება, ამიტომაც ის მიუწვდომელია ცნობიერებისთვის“. არაცნობიერში დამარხული მოვლენების განცდა ირაციონალურად ხდება, „კომპარებში და ტრავმაგადატანილის განმეორებად ქმედებებში“. მოცემულ ამონარიდში ნაჩვენებია, როგორ სცდება ტრავმის პოპულარული თეორიის ფსიქოანალიტიკური ვერსია განათლების ფილოსოფიის ვერსიის ჩარჩოებს: „შეუძლებელია ტრავმის ლოკალიზება უბრალოდ ძალადობრივ აქტში თუ ინდივიდის წარსულში მომხდარ მოვლენაში. მისი ლოკალიზება მეტადაა შესაძლებელი, როცა ტრავმის აუთვისებელი არსი - იმ სახით, რომლის გააზრებაც არ მოხდა თავდაპირველად - ბრუნდება და თან სდევს ტრავმაგადატანილს მომავალში“. თუმცა, როდესაც ქერუთი აღწერს ამ ტრავმულ სიმპტომებს, ის უბრუნდება ობიექტურობის თეორიას, ამტკიცებს რა, რომ ეს სიმპტომები „აღწერენ სინამდვილეს თუ ჭეშმარიტებას, რომელთა დადგენაც სხვაგვარად მიუწვდომელია“ (Caruth 1995, 3-4).<sup>7</sup>

ტრავმის პოპულარულ თეორიაზე ამ ფსიქოანალიტიკური თეორიის დიდი ზეგავლენა იმაშიც ჩანს, თუ როგორი გავლენა მოახდინა მან ამ ცოტა ხნის წინ სამხრეთ ამერიკელი მკვლევრების მცდელობებზე, გაეაზრებინათ უახლოეს წარსულში დიქტატორების მიერ ორგანიზებული სასტიკი ტრავმული მოვლენები. თუმცა ამ ტექსტების უმეტესობა - კვლევები რეპრესიაზე და ნორმატიული განცხადებები - წმინდა ემპირიულ ხასიათს ატარებს, მაინც ეძებს

პასუხისმეგებელ პირებს და ითხოვს კომპენსაციას. ამავე დროს, იზრდება იმ ნაშრომების რაოდენობა, რომლებიც რეპრესიებით გამოწვეულ ტრავმას ეძღვნება.

მიზანი ის არის, რომ სოციალური რეპრესიების განდევნით და მეხსიერების დაბრუნებით აღდგეს კოლექტიური ფსიქოლოგიური სიჯანსაღე. სოციოლოგები ხაზს უსვამენ, რომ ამის მისაღწევად მნიშვნელოვანია მეხსიერებაში მოვლენათა შენახვა საზოგადოებრივი ქმედებების საშუალებით, რეპრეზენტაცია კულტურაში და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლა, რათა ვიპოვოთ რაღაც კოლექტიური საშუალება დათრგუნული გრძნობების გამოსადევნად და დარდის გამოსახატად. ამგვარი პროპაგანდული ლიტერატურა, მიუხედავად იმისა, რომ მორალური კუთხით გამართლებულია და საზოგადოებრივი განსჯის სტიმულაციისა და თვითშეფასების ამაღლებისთვის უდაოდ სასარგებლოა, მაინც მოქცეულია პოპულარული თეორიის ჩარჩოებში. ტრავმის მსხვერპლთა გრძნობები და მათი საპასუხო ქმედებები რეპრესიაზე საღი აზრის უშუალო რეაქციადაა განხილული. მაგალითისთვის, ელიზაბეთ ჯელინი და სუზანა კაუფმანი ხელმძღვანელობდნენ ფართომასშტაბიან პროექტს „მეხსიერება და ნარატიულობა“, რომელსაც ფორდის ფონდი აფინანსებდა. მასში მონაწილეობას იღებდა მკვლევართა ჯგუფი სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა ქვეყნიდან. თავდაპირველი აღმოჩენების ამსახველ შთამბეჭდავ ნაშრომში: „მეხსიერების შრეები: ოცი წლის შემდეგ არგენტინაში“ (Layers of Memories: Twenty Years after in Argentina)<sup>8</sup> ეს მკვლევრები ერთმანეთს უპირისპირებენ, ერთი მხრივ, მსხვერპლთა დაჟინებულ მოთხოვნას - აღიარებულ იყოს ტრავმული მოვლენების და განცდების რეალურობა და, მეორე მხრივ, დამნაშავე პირების და მათი კონსერვატიული მხარდამჭერების მიერ ამ მოვლენების უარყოფას, მათ მიერ წარსულის დავიწყების მოთხოვნას. „კონფრონტაცია ხდება, როდესაც ერთი დაპირისპირებული მხარე მოითხოვს წამების და გაუჩინარების ფაქტების მეხსიერებაში უკვდავყოფას, რეპრესიის ორგანიზატორთა გასამართლებას, ხოლო მეორე ისე იქცევა, თითქოს არც არაფერი მომხდარა“. ჯელინი და კაუფმანი ასეთ კონსერვატიულ ძალებს „საშინელებაში არამონაწილე მოწმეებს“ უწოდებენ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათ „არ იცოდნენ“ და „ვერ ხედავდნენ“. მაგრამ, რამდენადაც რეპრესიების ტრავმულ მოვლენას რეალურად ქონდა ადგილი, ამგვარ უარყოფას აზრი არ აქვს. „მითითებით ან ძალით ხალხის პირადი მეხსიერების ამოშლა შეუძლებელია“. რეპრესიის მსხვერპლთა მეხსიერების უკვდავყოფა წარმოადგენს სასტიკი მოვლენების რეალური ობიექტურობის აღდგენის და მეხსიერების გაუცნობიერებელი დამახინჯებისგან მისი განცალკევების მცდელობას: მონუმენტები, მემორიალები და მუზეუმები არის ... მცდელობა და მტკიცებულება, რათა [შეიქმნას] რამე მატერიალური, რომელსაც აქვს პოლიტიკური, კოლექტიური, საზოგადოებრივი აზრობრივი დატვირთვა, [და] ეს კონფლიქტური პოლიტიკური წარსულის ხელშესახები მოგონებაა“ (5-7).

## ნატურალისტური ცდომილება

სწორედ განათლების ფილოსოფიის პოზიციის და ფსიქოანალიტიკური მიდგომის შედეგად, ტრავმის ცნებამ, ყოველდღიური ენის გარდა, ინტელექტუალური მნიშვნელობაც შეიძინა და დამკვიდრდა მრავალი დისციპლინის აკადემიურ ენაში. თუმცა, ამ ორივე შეხედულებას, რომლებიც ტრავმის პოპულარული გაგებიდან გამომდინარეობს, „ნატურალისტური ცდომილება“ (Naturalistic fallacy) ახასიათებს. ჩემი პირადი მიდგომა სწორედაც რომ ნატურალისტური ცდომილების უარყოფაზეა აგებული. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თავად ცალკე აღებული მოვლენები, როგორც ასეთი, არ ქმნიან კოლექტიურ ტრავმას. თავისი შინაგანი ბუნებით, მოვლენები არ არის ტრავმული. ტრავმა სოციალურად განპირობებული ფენომენია. ეს ფენომენი შეიძლება წარმოიქმნას რეალურ დროში, როდესაც მოვლენა ხდება. ის შეიძლება მივაწეროთ ჯერ კიდევ არმომხდარ მოვლენას, როგორც წინასწარ მომასწავებელი ნიშანი, ან უკვე დასრულებულ მოვლენას, როგორც post-hoc რეკონსტრუქცია. ზოგ შემთხვევაში, მძიმე ტრავმული მოვლენები, შესაძლოა, საერთოდ არ იყოს რეალური, თუმცა ამგვარი წარმოსახული მოვლენები ისეთივე ტრავმულია, როგორც სინამდვილეში მომხდარი ფაქტები.

„წარმოსახული“ ტრავმული მოვლენის შემეცნება ისეთი პროცესის არსებობას გვთავაზობს, რომელსაც ბენედიქტ ანდერსონი აღწერს ნაშრომში „წარმოსახვითი საზოგადოებები“ (Imagined Communities) (Anderson 1991). ანდერსონი, რასაკვირველია, ყურადღებას ამახვილებს არა უშუალოდ ტრავმაზე, არამედ ნაციონალიზმის ისტორიის იდეოლოგიური ნარატივების მრავალფეროვნებაზე. თუმცა, ამგვარი კოლექტიური რწმენა მეტყველებს გარკვეული ნაციონალური ტრავმის არსებობაზე. ნაციონალური იდენტობის განსაზღვრის მცდელობისას, ნაციონალური ისტორიები მიყენებული ზიანის გამო შურისძიებისკენ მოუწოდებენ. მეოცე საუკუნეში მრავლად იყო აგრესიული ნაციონალური დაჯგუფებები და მათი ინტელექტუალური თუ მედია წარმომადგენლები. მათი აზრით, ისინი დაზარალდნენ ან ტრავმირებულ იქნენ სავარაუდო ანტაგონისტური ეთნიკური თუ პოლიტიკური ჯგუფის მიერ, რომელთა წინააღმდეგაც უნდა გაილაშქრონ. მაგალითად, სერბები სერბეთში ამტკიცებდნენ, რომ ეთნიკურმა კოსოვოელმა ალბანელებმა მათ ტრავმა მიაყენეს და ამით ამართლებდნენ თავიანთ „თავდაცვით“ თავდასხმას და ეთნიკურ წმენდას. პრიმორდიალური ნაციონალური ტრავმის ამგვარი მილიტარული განწყობის კლასიკური მაგალითი გახლდათ ადოლფ ჰიტლერის მტკიცება, რომ პირველ მსოფლიო ომში გერმანიის ტრავმულად დამარცხების უკან საერთაშორისო ებრაული შეთქმულება იდგა.

თუმცა ის მოსაზრება, რასაც ანდერსონი გულისხმობს „წარმოსახვითის“ გააზრებაში, ბოლომდე არ ემთხვევა ჩემს მოსაზრებას. ის მისდევს კონცეფციას, რომელიც თავდაპირველი მოვლენის სრულ ილუზიურ, არაემპირიულ, არარსებულ ხასიათს გულისხმობს. ანდერსონს თავზარს სცემს ნაციონალიზმის იდეა და წარმოსახული ნაციონალური თემის (community) მისეულ კვლევას „იდეოლოგიის კრიტიკასთან“ ბევრი საერთო აქვს. ამგვარად, ანდერსონის ანალიზი განათლების ფილოსოფიის იმ კუთხით ხორციელდება, რომელიც აკნინებს ტრავმის პოპულარულ თეორიას და რომელიც კრიტიკულადაა განხილული ჩვენს წიგნში. საქმე ის კი არაა, რომ არარსებელი მოვლენების შედეგად ტრავმა არასდროს წარმოიშობა, - რასაკვირველია, ამგვარი რამ ხდება; უბრალოდ, მეტად იოლია მიიღო ტრავმის წარმოსახული განზომილება. არარსებელი მოვლენები, ან მოვლენები, რომელთა რეპრეზენტაციაც გადაჭარბებულად ხდება, ამკარად აგრესიულ და მავნე პოლიტიკურ ძალებს ემსახურება. ჩვენი მიდგომა „წარმოსახულის“ მიმართ მსგავსია დურკჰაიმის მოსაზრებისა ნაშრომში „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები“, სადაც ის „რელიგიურ წარმოდგენებზე“ საუბრობს. წარმოსახვა რეპრეზენტაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია. ის ცხოვრებაში ჩასახულ შთაბეჭდილებებს სესხულობს და ასოციაციის, კონდენსაციის და ესთეტიკური შემოქმედების საშუალებით, მას განსაზღვრულ ფორმას აძლევს.

წარმოსახვა თანაბარ გავლენას ახდენს ტრავმის კონსტრუირებაზე, მაშინაც, როცა საუბარია რეალურად მომხდარ მოვლენებზე და მაშინაც, როცა მსგავს მოვლენას ადგილი არ ჰქონია. მხოლოდ წარმოსახვის პროცესზე დაყრდნობით აქტორები საკუთარ თავზე განიცდიან გადატანილ გამოცდილებას. მაშინაც, როცა მსხვერპლის სტატუსზე უფლების მოთხოვნა მორალურად გამართლებულია, პოლიტიკური თვალსაზრისით დემოკრატიულ ხასიათს ატარებს და მიმართულია სოციალური პროგრესისკენ, ეს მოთხოვნა მაინც არ შეიძლება ჩავთვალოთ ავტომატურ თუ ბუნებრივ რეაქციად თავად ძირითად მოვლენაზე. ასეთ შემთხვევებში რთულია დაეთანხმო კონსტრუქტივისტულ პოზიციას, რადგან სიმართლესთან შესაბამისობის პრეტენზია არსებითია იმის განცდისთვის, რომ ტრავმას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული განაცხადი ტრავმაზე ონტოლოგიურ რეალობაზე აცხადებს პრეტენზიას, ჩვენ, როგორც კულტურის სოციოლოგები, ყურადღებას ვაქცევთ არა სოციალური აქტორების განცხადებების მართებულობას ან მათ მორალურ განსჯას, არამედ იმას, თუ რა პირობებში ხდება მსგავსი ტიპის განცხადებების გაკეთება და რა შედეგამდე მივყავართ მათ. ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ არა ონტოლოგიასა და მორალზე, არამედ ეპისტემოლოგიაზე.

ტრავმის სტატუსი განისაზღვრება არა წარმოსახული თუ რეალური მოვლენებით, არა მათი ზიანისმომტანი ხასიათითა თუ გამოკვეთილი ობიექტურობით, არამედ იმით, თუ რამდენად

მკვეთრი და დამღუპველი გავლენა მოახდინა მან კოლექტიურ იდენტობაზე. ინდივიდუალური უსაფრთხოება ფესვგადგმულია ემოციურ და კულტურულ მოლოდინებში, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოებისა და ქმედითუნარიანობის განცდას. ეს მოლოდინები და ქმედების უნარი იმ კოლექტივის სიმტკიცის წყაროა, რომლის ნაწილსაც ინდივიდები შეადგენენ. კოლექტივის სტაბილურობა მატერიალური და ყოფითი კუთხით კი არ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ - თუმცა ამგვარი სტაბილურობა, რასაკვირველია, გარკვეულ როლს თამაშობს - არამედ სასწორზე დევს საზოგადოების იდენტობა, მისი სტაბილურობა აზრობრივი და არა ქმედითი კუთხით.

იდენტობა ურთიერთმიმართებაშია კულტურასთან. მოვლენას ტრავმის სტატუსი მაშინ ენიჭება, როდესაც საზოგადოებისთვის ჩვეული, მოწესრიგებული აზრების მკვეთრი ცვლილება ხდება. სწორედ აზრები და არა მოვლენები განაპირობებენ შოკის და შიშის განცდას. აზრობრივი სტრუქტურის არასტაბილურობა და დაზიანება არა მოვლენებით, არამედ სოციალურ-კულტურული პროცესითაა განპირობებული. ახალი კულტურული კლასიფიკაციის სისტემის წარმატებულად თავსმოხვევის შედეგი ადამიანური შესაძლებლობების ქმედებისკენ მიმართვაა. მმართველი ძალები და მოაზროვნე სოციალური აქტორების სიტუაციური უნარ-ჩვევები კულტურულ პროცესზე დიდი გავლენას ახდენს.

### **კულტურული ტრავმის სოციალური პროცესი**

სოციალური სისტემის დონეზე, საზოგადოებამ შესაძლებელია მასშტაბური კრაზი გადაიტანოს, რომელიც ტრავმული არ იქნება. შესაძლოა ინსტიტუტებმა აღარ იმუშაონ გამართულად; სკოლებმა ვერ მისცენ განათლება და დაწყებით საფეხურზეც წარუმატებლობა განიცადონ; მთავრობამ ვერ უზრუნველყოს საბაზისო თავდაცვა და სამართლებრივი სტატუსის დაკარგვის მძაფრი კრიზისის საფრთხის ქვეშ დადგეს; ეკონომიკური სისტემა იმდენად მოიშალოს, რომ მისმა გამანაწილებელმა ფუნქციამ ვერ მოახერხოს პირველადი მოხმარების საქონლით უზრუნველყოფა. ამგვარი ტიპის პრობლემები რეალური და მეტად არსებითია, თუმცა ისინი შესაძლოა სულაც არ იყოს ტრავმული საზოგადოების წევრთათვის თუ მთლიანად საზოგადოებისთვის. ტრავმამ რომ საზოგადოებრივი სახე მიიღოს, სოციალური კრიზისი კულტურულ კრიზისად უნდა გარდაიქმნას. მოვლენა - ეს ერთი მხარეა, ხოლო მისი რეპრეზენტაცია - სულ სხვა საქმეა. ტრავმა რომელიმე ჯგუფის მიერ ტკივილის განცდის შედეგი არ არის. ის მწვავე დისკომფორტის შედეგია, რომელიც ღრმად აღწევს საზოგადოების მიერ საკუთარი იდენტობის განცდაში. კოლექტიური აქტორები „გადაწყვეტილებას იღებენ“, წარმოაჩინონ სოციალური ტკივილი ძირითად საფრთხედ იმის შემეცნებისას, თუ რანი ვართ,

ვინ ვართ და საით მივდივართ. შემდეგ ნაწილში მე აღვწერ ამგვარი კოლექტიური ქმედებების ბუნებას და იმ კულტურულ და ინსტიტუციურ პროცესებს, რომლებიც მედიატორის როლს ასრულებენ.

#### *მოთხოვნების წამოყენება: აზრობრივი სპირალი*

„ტრავმის პროცესი“ შესაძლოა გავიგოთ როგორც განხეთქილება მოვლენასა და რეპრეზენტაციას შორის. საზოგადოება, როგორც ასეთი, გადაწყვეტილებას არ იღებს; მას უფრო მოქმედი პირები (აგენტები) იღებენ (Sztompka 1991a, 1993a; Alexander 1987; Alexander Giesen, Munch, and Smelser 1987).<sup>9</sup> ხალხი, რომელიც საზოგადოებას ქმნის, გადმოსცემს წარსული, მიმდინარე და მომავალი სოციალური მოვლენების სიმბოლურ რეპრეზენტაციასა და დახასიათებას. ისინი, როგორც სოციალური ჯგუფის წევრები, გადასცემენ ამ წარმოდგენებს. ეს ჯგუფური წარმოდგენები შეიძლება განვიხილოთ სოციალური რეალობის „განაცხადად“, ამ რეალობის გამომწვევ მიზეზებად და იმ ქმედებების პასუხისმგებლობად, რომელსაც ეს მიზეზები გულისხმობენ. სწორედ ასეთი განაცხადით იწყება ტრავმის კულტურული კონსტრუირება (Thompson 1998).<sup>10</sup> ესაა განაცხადი რამე ფუნდამენტურ ზიანზე, წმიდათაწმიდა ღირებულებების შეურაცხყოფაზე, საშინლად დამანგრეველი სოციალური პროცესის ნარატივზე და ემოციურ, ინსტიტუციურ და სიმბოლურ კომპენსაციისა და აღდგენის მოთხოვნაზე.

#### *გადამტანი/მატარებელი ჯგუფები (carrier groups)*

ამგვარი განაცხადები კეთდება მათ მიერ, ვისაც მაქს ვებერი თავის რელიგიურ სოციოლოგიაში „გადამტანი/მატარებელ ჯგუფებს“ უწოდებდა (Weber 1968, 468-517).<sup>11</sup> გადამტანი/მატარებელი ჯგუფები ტრავმული პროცესის კოლექტიური აგენტები არიან. მათ აქვთ ორივე - იდეალური და მატერიალური ინტერესები; ისინი განლაგებულნი არიან სოციალური სტრუქტურის განსაკუთრებულ ადგილებში და დაჯილდოებულნი არიან საზოგადოებრივ სფეროში თავისი აზრის განცხადებისას განსაკუთრებული დისკურსული ტალანტით - შეიძლება ითქვას, „აზრის ფორმირების“ ნიჭით. გადამტანი/მატარებელი ჯგუფები, შესაძლოა, მიეკუთვნებოდნენ ელიტას ან საზოგადოების უზნეო, მანკიერ და მარგინალურ ფენებს. შეიძლება, ისინი წარმოადგენდნენ გავლენიან რელიგიურ ლიდერს ან დაჯგუფებას, რომელთაც უმრავლესობა სულიერ განდევნილად თვლის. გადამტანი/მატარებელი ჯგუფები შეიძლება თაობათა მიხედვით დაიყოს, სადაც ახალგაზრდა თაობის ხედვები და ინტერესები

ძველს უპირისპირდება. გადამტანი/მატარებელი ჯგუფი, შესაძლოა, ნაციონალური იყოს, რომელიც თავის ერს აქეზებს სავარაუდო მტრის წინააღმდეგ. ის შეიძლება იყოს ინსტიტუცია, რომელიც წარმოადგენს ერთ განსაზღვრულ სოციალურ სექტორს ან დაპირისპირებულ ორგანიზაციას სხვა ორგანიზაციასთან პოლარიზებულ სოციალურ წესრიგში.

*მაყურებელი და სიტუაცია: მეტყველების აქტის თეორია*

ტრავმის პროცესი, ამ გაგებით, შეიძლება მეტყველების აქტს შევადაროთ (Austin 1962; Searle 1969; Habermas 1984; Lara 1999).<sup>12</sup> ტრავმას, ისევე როგორც მეტყველების აქტს, შემდეგი ელემენტები ახასიათებს:

- 1) სპიკერი: გადამტანი ჯგუფი.
- 2) მაყურებელი (აუდიტორია): პუბლიკა, სავარაუდოდ ჰომოგენური, მაგრამ სოციალურად დაყოფილი.
- 3) სიტუაცია: ისტორიული, კულტურული და ინსტიტუციური გარემო, სადაც მეტყველების აქტი მიმდინარეობს.

სპიკერის მიზანია, მაყურებელ პუბლიკას დამაჯერებლად განუცხადოს ტრავმის შესახებ. ამ პროცესის მიმდინარეობისას გადამტანი/მატარებელი ჯგუფები ისტორიული მდგომარეობის თავისებურებებს, ხელმისაწვდომ სიმბოლურ რესურსებს და ასევე ინსტიტუციური სტრუქტურების მიერ წარმოდგენილ შეზღუდვებს და შესაძლებლობებს იყენებენ. უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, აუდიტორიას უნდა შეადგენდნენ გადამტანი/მატარებელი ჯგუფების წარმომადგენლები. თუ მეტყველების აქტი წარმატებულია, მაშინ ამ კოლექტივის წევრები რწმუნდებიან, რომ ისინი ტრავმირებულნი იქნენ კონკრეტული მოვლენით. მხოლოდ ამის შემდეგ ის აუდიტორია, რომლის მისამართითაც გაკეთდა განაცხადი ტრავმაზე, შესაძლოა გაფართოვდეს და მოიცვას სხვა ჯგუფები - „ფართო საზოგადოება“.

*კულტურული კლასიფიკაცია: ტრავმის წარმოქმნა როგორც ახალი მასტერ ნარატივი*

მოვლენასა და მის რეპრეზენტაციას შორის არსებული განხეთქილების აღმოფხვრა დამოკიდებულია იმაზე, რასაც ქენეთ ტომპსონი მორალური პანიკის კონტექსტში „მნიშვნელობათა სპირალი“-ს სახელით (“spiral of signification”) მოიხსენიებდა (Thompson 1998, 20-24).<sup>13</sup> ტრავმის რეპრეზენტაცია დამოკიდებულია კულტურული კლასიფიკაციის სისტემის

დამაჯერებელ სტრუქტურაზე. გარკვეულწილად, ეს უბრალოდ ახალი ისტორიის მოთხრობაა. თუმცა, ამავე დროს, ამგვარი ისტორიის თხრობა რთული და მრავალმხრივი სიმბოლური პროცესია, რომელიც მეტად საკამათო და ზოგჯერ ძალზე პოლარიზებულ ხასიათს ატარებს. იმისთვის, რომ გაცილებით ფართო აუდიტორია დარწმუნდეს გამოცდილების და მოვლენის ტრავმულობაში, გადამტანმა ჯგუფებმა წარმატებული მიზანმიმართული სამუშაო უნდა ჩაატარონ.

ახალი მასტერ ნარატივის შექმნისას დიდი როლი ენიჭება ოთხ უმნიშვნელოვანეს რეპრეზენტაციას. თუმცა რეპრეზენტაციის ამ ოთხ განზომილებას ანალიტიკური თანამიმდევრობით განვიხილავ, არ ვგულისხმობ დროში მათ თანამიმდევრულ განთავსებას. სოციალურ რეალობაში ეს რეპრეზენტაციები შინაგანადაა დაკავშირებული და მუდმივად ურთიერთგადამკვეთია. მიზეზობრივ კავშირები აქ სიმბოლურ და ესთეტიკური ხასიათისაა და არა თანამიმდევრული ან განვითარებადი, თუმცა „დამატებითი ღირებულების“ მქონე (Smelser 1962). კოლექტიური რეპრეზენტაციის წარმატებული მსვლელობისთვის აუცილებელია, დამაჯერებელი პასუხები გაეცეს შემდეგ კითხვებს:

ა) ტკივილის ბუნება. რა განიცადა სინამდვილეში განსაზღვრულმა ჯგუფმა და უფრო ფართო საზოგადოებამ, რომლის ნაწილსაც ეს ჯგუფი წარმოადგენს?

- ვიეტნამში გაჩაღებული ომი ღია ჭრილობაა ამერიკელთა ფსიქიკისთვის, თუ იგი ჩაინერგა რუტინული გზით? თუ ეს საშინელი ჭრილობა იყო, კერძოდ რაში გამოიხატება ეს? ომი ამერიკელმა სამხედროებმა წააგეს თუ ვიეტნამის ტრავმა ხელეშემბორკილი ერის ტკივილს უკავშირდება?<sup>14</sup>
- კოსოვოში ასობით ეთნიკური ალბანელი დაიღუპა, თუ მათი რაოდენობა ათ ან, შესაძლოა, ასეულ ათასსაც კი აღწევს? ისინი დევნისა და შიმშილისგან დაიღუპნენ თუ მიაზანმიმართულად დახოცეს?
- იყო თუ არა აფროამერიკელთათვის მონობა ტრავმული? თუ, როგორც ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს, ეს მეტად სარგებლიანი ეკონომიკური შემოსავლის საშუალება იყო? თუ ეს უკანასკნელი სიმართლეა, მაშინ მონობა არ ყოფილა ტრავმული, ხოლო თუ პირველია სწორი, ეს ნიშნავს სასტიკ ტრავმულ ჩაგვრას.
- უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტი სამოქალაქო უწყესრიგობა და ტერორიზმი იყო, როგორც ეს ერთხელ დედოფალმა ელისაბედმა განაცხადა, თუ „სისხლიანი ომი“, როგორც ირლანდიის რესპუბლიკური არმია (IRA) აცხადებს? (quoted Maillot 2000).

- **1938** წელს ნანკინში, ჩინეთში, იაპონელთა ხელით ასზე ნაკლები ადამიანი მოკვდა თუ მსხვერპლის რაოდენობა სამასი ათასია? ეს მკვლევარები ცალმხრივი „შეტაკების“ შედეგია თუ მოწინააღმდეგე არმიებს შორის „მძვინვარე ბრძოლის“?

ბ) მსხვერპლის ბუნება. ტრავმული ტკივილი ხალხის რა ჯგუფმა განიცადა? ეს ინდივიდები ცალკეული დაჯგუფებები იყვნენ თუ გაცილებით უფრო დიდი ჯგუფები - „ხალხი“, როგორც ასეთი? ძირითადი დარტყმა ცალკეულმა და განსაზღვრულმა ჯგუფებმა მიიღეს თუ პროცესშირამდენიმე ჯგუფი იყო ჩათრეული?

- ჰოლოკოსტის ძირითად მსხვერპლს გერმანელი ებრაელები წარმოადგენდნენ, თუ მათ რიცხვში გერმანიის საზღვრებს მიღმა მცხოვრები ევროპელი ებრაელები და მთლიანად ებრაელი ხალხიც შედიოდა? მილონობით პოლონელი, რომლებიც გერმანელების ხელით განადგურდნენ, ასევე ჰოლოკოსტის მსხვერპლნი არიან? ითვლებიან თუ არა კომუნისტები, სოციალისტები, ჰომოსექსუალები და შეზღუდული შესაძლებლობის პირები ნაცისტური ჰოლოკოსტის მსხვერპლად?
- ეთნიკური წმენდის მთავარი მსხვერპლი კოსოვოელი ალბანელები იყვნენ თუ კოსოვოელი სერბებიც მნიშვნელოვნად ან თანაბრად დაზარალდნენ?
- არიან თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების უკაცრიელ ადგილებში მცხოვრები აფროამერიკელები სასტიკი, ტრავმული პირობების მსხვერპლნი, თუ ეკონომიკურად განსაზღვრული „საზოგადოების დაბალი ფენის“ წევრობაა ტრავმული?
- ევროპულ კოლონიზაციას ჩრდილოეთ ამერიკელი ინდიელები შეეწირნენ თუ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრები და განსაკუთრებულად „აგრესიული“ ინდიელი ხალხი?

გ) ტრავმის მსხვერპლთა კავშირი უფრო ფართო აუდიტორიასთან. მას შემდეგ, რაც ტკივილის ბუნება ცხადია და მსხვერპლთა იდენტობა დადგენილია, რჩება მეტად მნიშვნელოვანი საკითხი - მსხვერპლის კავშირი უფრო ფართო საზოგადოებასთან. რამდენად მოვლენ თანაფარდობაში უშუალოდ დაზარალებულ ჯგუფთან აუდიტორიის წევრები, რომლებისკენაც მიმართულია ტრავმის რეპრეზენტაცია? ჩვეულებრივ, ტრავმის პროცესის დასაწყისში აუდიტორიის დიდი ნაწილი მეტად მცირე კავშირს ხედავს - თუ საერთოდ ხედავს - დაზარალებულ ჯგუფთან. აუდიტორია, შესაძლოა, მხოლოდ სიმბოლურად გახდეს საწყისი ტრავმის განცდის მონაწილე - იმ შემთხვევაში, თუ ტრავმის მსხვერპლნი ღირსეულად იქნებიან წარმოჩენილნი, მათი დადებითი თვისებებით, რომლებიც ასევე გაზიარებულია უფრო ფართო კოლექტიური იდენტობის მქონე ჯგუფის მიერ.<sup>15</sup>

- ცენტრალური ევროპის თანამედროვე მოსახლეობა აღიარებს, რომ ბოშები ტრავმის მსხვერპლნი და ტრაგიკული ისტორიის მატარებელნი არიან, თუმცა ცენტრალური ევროპის ბევრი მაცხოვრებელი ბოშათა ტრაგიკულ წარსულს არ ითავისებს, რადგან მათ არაცივილიზებულად და არაკანონმორჩილად თვლის.
- პოლონელმა და გერმანელმა გავლენიანმა ჯგუფებმა აღიარეს, რომ ებრაელები მასობრივი განადგურების მსხვერპლნი არიან, თუმცა თავად ხშირად უარს ამბობდნენ, ეღიარებინათ ებრაელთა ტრაგიკული ბედისწერის გავლენა საკუთარ ნაციონალურ კოლექტიურ იდენტობაზე.
- **1965** წელს სელმაში, ალაბამაში, პოლიციის სისასტიკემ შავკანიანი უფლებადამცველების მიმართ, რამაც ტრავმა წარმოქმნა, გამოიწვია თეთრკანიანი ამერიკელების თანაგანცდა, როდესაც ისინი ამ მოვლენებს ტელევიზორში უცქერდნენ ქვეყნის უსაფრთხო ჩრდილოეთ ნაწილიდან? მიეკუთვნება თუ არა თეთრი ამერიკელების რასობრივი ბატონობის ისტორია სრულიად კონკრეტულ ისტორიულ პერიოდს, თუ მისი რეკონსტრუქცია კოლექტიურ მეხსიერებაში თანამედროვეობის პრობლემაა?<sup>16</sup>

დ) *პასუხისმგებლობის გადანაწილება.* ტრავმის დამაჯერებელი ნარატივის შექმნისას, აუცილებელია დადგინდეს დამნაშავეს - „ბოროტმოქმედის“ - ვინაობა. ვინ მიაყენა მსხვერპლს ზიანი? ვინ გამოიწვია ტრავმა? ეს მუდმივად სიმბოლური და სოციალური კონსტრუირების საკითხია.

- ჰოლოკოსტი ნაცისტური რეჟიმის ბრალია თუ „გერმანიის“? დანაშაული ესესელების (SS) სპეციალური დანიშნულების რაზმის მოქმედებებით შემოიფარგლა თუ მთელი ვერმახტი, ნაცისტების მთელი არმია იყო გარეული ამაში? დანაშაული ჩვეულებრივ ჯარისკაცებზეც, მოქალაქეებზეც, კათოლიკე და პროტესტანტ გერმანელებზეც ვრცელდება? პასუხისმგებლობა მხოლოდ ძველმა თაობებმა უნდა იკისრონ თუ ახალმაც?<sup>17</sup>

*ინსტიტუციური სივრცეები*

მოცემული რეპრეზენტაციული პროცესი საზოგადოებრივი ტკივილის ახალ მთავარ ნარატივს ქმნის. ამგვარ კულტურულ (რე)კლასიფიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროცესისთვის, რის შედეგადაც საზოგადოება ტრავმირებული ხდება.<sup>18</sup> თუმცა ეს პროცესი

არ ვითარდება იმ პირობებში, რომელსაც ჰაბერმასი ცხადი/გამჭვირვალე/ნათელი მეტყველების მდგომარეობას (Transparent speech situation) უწოდებს (Habermas 1984).<sup>19</sup> სიცხადის გაგება და არა ემპირიული აღწერა ჰაბერმასისთვის ნორმატიულ იდეალს წარმოადგენს, რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივი სფეროს დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის. საერთოდ, სოციალურ პრაქტიკაში, მეტყველების აქტები არ ვითარდება საშუამავლო ხერხების გარეშე. ლინგვისტური აქტები მძლავრი ინსტიტუციური სივრცეების საშუალებით ხორციელდება. ასეთი ინსტიტუციური შუამავლობის რამდენიმე მაგალითი ქვემოთაა მოყვანილი.

*რელიგიური.* თუ ტრავმული პროცესი რელიგიურ სივრცეში ვითარდება, მაშინ მისი ამოცანაა დააკავშიროს ტრავმა თეოდიცეასთან. მაგალითად, თორაში იობის ისტორია შემდეგ კითხვას სვამს: „რად დაუშვა ღმერთმა ეს ბოროტება?“. პასუხები ამგვარ კითხვაზე იწვევს დიკუსიებს იმაზე, თუ როგორ მოხდა, რომ ადამიანები ჩამოშორდნენ წმინდა კანონს და ღმერთის მიერ დადგენილ ეთიკურ ნორმებს; გულისხმობს თუ არა ბოროტების არსებობა ღმერთის არარსებობას.

*ესთეტიკური.* რამდენადაც აზრობრივი მუშაობა ესთეტიკურ სფეროს ეხება, ამდენად იგი განსაზღვრული ჟანრების და ნარატივების ჩარჩოებში ხვდება. ის უკავშირდება აუდიტორიის და მსხვერპლის წარმოსახულ იდენტიფიკაციას და ემოციურ კათარზისს.

- მაგალითად, ჰოლოკოსტის ადრეულ წარმოდგენებში არსებით როლს ასრულებდა „ანა ფრანკის დღიური“, ხოლო ცოტა მოგვიანებით განვითარდა სრულიად ახალი ჟანრი, სახელწოდებით „გადარჩენილთა ლიტერატურა“ (Hayes 1999). გვატემალას გენოციდის შემდეგ, რის შედეგადაც 200 000 მაიას ტომის ინდიელი ამოხოცეს და მთელი სოფელი გაანადგურეს, ერთ-ერთმა ეთნოგრაფმა აღწერა, როგორ გამოიყენეს ქალაქ სანტა მარია ცეიას თეატრი „საჯაროდ წარსულთან შესახვედრად“.
- *მოზარდთა ჯგუფი, .... ჩრდილოეთ ამერიკელი მასწავლებელი და ადგილობრივი სკოლის დირექტორი წერენ პიესას სანტა მარია ცეიას მოვლენების შესახებ. დადგმის სახელწოდებაა „არა არს დაფარული, რაც არ გაცხადდების“ (მათე 10:26) და მასში თავად სოფლის მცხოვრებლები თამაშობენ. პიესაში არა მხოლოდ ღიად და ცივისსხლიანად არის აღწერილი მომხდარი მოვლენები, არამედ დიდაქტიკური მანერითაა მითითებული სამხედროების მიერ დარღვეული კანონები და უფლებები. ხაზგასმული და ციტირებულია გვატემალას კონსტიტუციის კანონები, რომლებიც ვებქვეშ გათელეს. ამგვარი რამ დიადი პიესებისთვის, ჩვეულებრივ, არ არის*

დამახასიათებელი, თუმცა გვატემალაში კონსტიტუციის წაკითხვა, შესაძლოა, მეტად დრამატულ აქტს წარმოადგენდეს. დადგმა იწვევს ცოცხალ, ცხარე განხილვებს. {წარმოდგენას} სოფელზე კათარზისის ეფექტი აქვს (Manz 2002).

როგორც ამ მაგალითშია მოცემული, მასმედიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, თუმცა ესთეტიკურ სივრცეში იგი, აუცილებლობას არ წარმოადგენს. NATO-ს ოთხმოცდლიანი დაბომბვის ოპერაციის შემდეგ, რამაც იუგოსლაველი სერბები აიძულა უარი ეთქვათ ალბანური კოსოვოზე, სერბული კინომატოგრაფი გადაიქცა ტანჯვის პერიოდის ხელახალი განცდის მასობრივ საშუალებად. ტრავმის ბუნება და მსხვერპლნი სხვადასხვა ხერხებით იყო წარმოჩენილი.

- რთული წარმოსადგენია, რომ ისინი, ვინც **1999** წელს გადაურჩნენ **78** დღიან დაბომბვას, კვლავ მოინდომებენ ამ ტრავმის ხელახალ განცდას თეატრში, ან გაიხსენებენ ათწლოვან სისხლიან წარსულს, რომელიც ოქტომბერში პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩის მმართველობის დაცემით დასრულდა. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში იუგოსლავიის კინომატოგრაფი სხვა არაფერით იყო დაკავებული, გარდა იმისა, რომ გამოეშვა ფილმები NATO-სთან ომზე. [ზოგიერთი მათგანი] პრეზიდენტ მილოშევიჩის პროპაგანდისტთა მიერ ათ წელზე მეტი ხნის მანძილზე აგებულ ფასადს გასცდა. [ერთ-ერთ ფილმში პროტაგონისტი აცხადებს]: „ვინმეს მოკვლა ჯოჯხეთურად იოლია . . . ისინი მოგშტერებიან, ქვითინებენ და მოთქვამენ, შენ კი მათ ესვრი და მორჩა, ესეც შენი ამბის დასასრული. მოგვიანებით, რასაკვირველია, ისინი ყველანი ბრუნდებიან და შენ გინდა ყველაფრის გამოსწორება, თუმცა უკვე მეტისმეტად გვიანია. ამიტომ, რომ სიმართლე მუდამ უკან ბრუნდება ადამიანების განსასჯელად“ (Watson 2001, A1-6).

სამართლებრივი. როდესაც კულტურული კლასიფიკაცია სამართლებრივ სფეროში შედის, ის მოითხოვს კანონით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას, სასჯელს და მატერიალურ ანაზღაურებას. ამას,, შესაძლოა არანაირი კავშირი არ ჰქონდეს დამნაშავეთა მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის აღიარებასთან ან ფართო აუდიტორიის მხრიდან ტრავმული დრამის მსხვერპლთა გრძნობების თანაგანცდასთან.

- **1945** წლის ნიურნბერგის პროცესს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საომარი დანაშაულებრივი ქმედებებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ფორმულირებისთვის. მათ რევოლუციურად ახალი კანონი და

ათეულობით წარმატებული სასამართლო განაჩენი მიიღეს, მაგრამ ამან ვერაფრით დაარწმუნა გერმანელი ხალხი ნაცისტების მიერ მიყენებული ტრავმის და მასში საკუთარი პასუხისმგებლობის აღიარებაში.<sup>20</sup> თუმცა, ნიურნბერგში შემუშავებული საკანონმდებლო აქტების შედეგად, უკანასკნელ ათწლეულებში ფართოდ გაშუქდა ათეულობით პროცესი, რასაც მნიშვნელოვანი მორალური ეფექტი ჰქონდა. ამ დანაშაულებრივ პროცესში - „დანაშაულში კაცობრიობის წინააღმდეგ“ - ჩართული აღმოჩნდნენ არა მხოლოდ ცალკეული პირები, არამედ ნაციონალური ერთობებიც.

- რამდენადაც არც ომის შემდგომმა იაპონიის მთავრობამ და არც ყველაზე გავლენიანმა იაპონურმა ჯგუფებმა არ აღიარეს იაპონიის იმპერიის მიერ ჩადენილი საომარი დანაშაული, შესაბამისად, არ იტვირთეს პასუხისმგებლობა ჩადენილზე, არც ერთი საჩივარი იმპერიულ ბოროტმოქმედებაზე ბოლო წლებმადე, არსებითად, არ განხილულა იაპონურ სასამართლოში. მხოლოდ ერთი საჩივრის განხილვა იმპერიული მთავრობის საჯარო განყოფილების წინააღმდეგ, რომელიც ბაქტერიოლოგიურ ომს აწარმოებდა, კანონის სპეციფიკური და ავტონომიური ხასიათით ახსნეს.

რამდენადაც ბატონი შინოზუკა ბაქტერიოლოგიური ბრძოლის წარმოების ქვეგანყოფილების „731 რაზმის“ წევრი იყო, მას მისცეს მითითება, რომ თუ ჩინელები შეიპყრობდნენ, ემოქმედა იმპერატორ ჰიროჰიტოს წინაშე არსებული ვალდებულებით და თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე, რათა დაეცვა საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც არღვევდა საერთაშორისო კანონმდებლობას... ახლა, 55 წლის შემდეგ, ის 77 წლის ჭარმაგი მოხუცია. მაგრამ რამდენადაც მას სინდისის ქენჯენა აწუხებს, იგი იაპონური სასამართლოს წინაშე წარსდგა და ისაუბრა ამ ცნობილი ქვეგანყოფილების შესახებ... ეს საქმე, რომლის განხილვაც უკვე ფინალურ სტადიაზე გადადის, როგორც სხვა მრავალი საქმე, არ გადადებულია ცნობილი იაპონელი ადვოკატების წყალობით, რომლებმაც სამართლებრივი სტრატეგიები შეიმუშავეს. იაპონელი ადვოკატების განცხადებით, ეს პირველი საქმეა, რომელიც მოსამართლემ დასაშვებად ცნო და არა დაუშვებლად. ეს კი პრეცედენტია, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვიოს კომპენსაციის მიღების კუთხით (French 2000, A3).

მეცნიერული. როდესაც ტრავმის პროცესი მეცნიერულ სფეროში აღწევს, ის ხდება განხილვის ობიექტი: რა შეიძლება ჩაითვალოს დამამტკიცებელ საბუთად; ჩნდება მეცნიერული

წინააღმდეგობები, ხდება „აღმოჩენა“ და „გადახედვა“. როდესაც ისტორიკოსები საზღვრავენ ისტორიულ მოვლენას, როგორც ტრავმულს, მათ კვლევის მეთოდებით უნდა აღწერონ ტკივილის ბუნება, მსხვერპლი და პასუხისმგებლობა. ეს კულტურული კლასიფიკაციის პროცესი ხშირად იწვევს ცხარე კამათს.

- რა იყო პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზი? ვის ეკისრება პასუხისმგებლობა მის დაწყებაზე? ვინ იყო ომის მსხვერპლი?
- იაპონელები მალულად დაესხნენ თავს პერლ ჰარბორს თუ ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში, გვიან ჩასული იაპონიის იმპერიის შეტყობინება დაუდევრობის ან დიპლომატიური გაუგებრობის ბრალია?
- ისტორიკოსთა ომმა გერმანიაში, ცნობილმა როგორც „Historikerstreit“, საერთაშორისო ოთხმოციან წლებში საზოგადოების ყურადღება მიიპყრო იმით, რომ კითხვის ქვეშ დააყენა ახალ მკვლევარ-კონსერვატორთა მოსაზრება ანტიკომუნისმის, როგორც ნაცისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და ანტიებრაული პოლიტიკის მოტივაციის შესახებ. ოთხმოცდაათიან წლებში გაბატონებული აზრის მიმდევარი ისტორიკოსები სასტიკად აკრიტიკებდნენ დენიელ გოლდჰაგენის წიგნს „ჰიტლერის მოხალისე ჯალათები“ (Hitler's Willing Executioners) იმის გამო, რომ აქ ხაზგასმულია გერმანიის ანტისემიტიზმის უნიკალურობა.

მასმედია. როდესაც ტრავმული პროცესი ფართო საინფორმაციო საშუალებებში აღწევს, ის ახალ შესაძლებლობებს იძენს, თუმცა, ამასთან ერთად, თვისებრივად იზღუდება. შუამავალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ტრავმის ხაზგასმით დრამატიზებას ახდენენ, სხვადასხვა ინტერპრეტაციებში ისინი საოცარ დამაჯერებლობას სძენენ მოვლენას. თუმცა რეპრეზენტაციული პროცესები საინფორმაციო გადაცემებში ჟანრის ჩარჩოებში ექცევა, სადაც მოითხოვენ ლაკონურობას, ეთიკურად ნეიტრალურ პოზიციას და განსხვავებული შეხედულებების თანაბრად გაშუქებას. და ბოლოს, აქ დიდ როლს თამაშობს მკითხველის დაინტერესება, რის გამოც „ახალი ამბები“, რომელიც გათვლილია ჟურნალ-გაზეთების ფართო აუდიტორიაზე, ძალზე ხშირად დამახინჯებული და გადაჭარბებულია. როდესაც მოვლენა შუქდება როგორც ტრავმული, „ტრავმირებულად“ და „დამნაშავეებად“ განსაზღვრული გარკვეული ჯგუფები, ასევე პოლიკიტოსები და ელიტის წარმომადგენლები, შესაძლოა, თავს დაესხან მედიასაშუალებებს, მათ მფლობელებს, ხშირად - ჟურნალისტებს, რომელთა რეპორტაჟებმაც ტრავმის ფაქტები გამოავლინა.

- სამოციან წლებში ამერიკული ტელევიზიები ახალ ამბებში გადმოსცმედნენ ვიეტნამის ომის დროს მოქალაქეთა ტანჯვის ამსახველ საშინელ კადრებს. ეს კადრები ხელჩასაჭიდი იყო ომის მოწინააღმდეგეთათვის. ამრიგელი კონსერვატორი

პოლიტიკოსი, ვიცე პრეზიდენტი სპირო აგნიუ თავს დაესხა „ლიბერალურ“ და „ებრაელების მიერ კონტროლირებად“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს იმის გამო, რომ ისინი ამტკიცებდნენ, რომ ვიეტნამის მოსახლეობა ტრავმირებულია ამერიკელთა მიერ წარმოებული ომით.

სახელმწიფო ბიუროკრატია. როდესაც ტრავმული პროცესი სახელმწიფო ბიუროკრატიაში იჭრება, მმართველი ძალები შეიძლება გამოყენებულ იქნან რეპრეზენტაციული პროცესის საჭირო მიმართულებით წარმართვისთვის. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ეროვნული საგამოძიებო კომისიის დაამტკიცება, პარლამენტის მიერ საგამოძიებო კომიტეტის არჩევა, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პოლიციური გამოძიების შექმნა და ეროვნული პრიორიტეტების ახალი დირექტივები - ყველა ამ ქმედებამ, შესაძლოა, გადამწყვეტი გავლენა იქონიოს მნიშვნელობათა ერთობლიობაზე, რომელიც განსაზღვრავს ტრავმულ პროცესს (Smelser 1963).<sup>21</sup> ბოლო დეკადის მანძილზე სპეციალური კომისიები სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის საყვარელ ინსტრუმენტებად იქცნენ. კომისიები ეფექტურად ახდენენ გავლენას და მართავენ ინტერპრეტაციის პროცესს, ორგანიზებას უკეთებენ და აბალანსებენ თანამონაწილეობას, ახალისებენ მოწმეთა გამოჩენას და ქმნიან საგულდაგულოდ დადგმულ საზოგადოებრივ დრამატურგიას, აფართოებენ და ავიწროებენ სოლიდარობის განცდას, ქმნიან ან უარყოფენ ზნეობრივი და ფაქტობრივი მიზეზების არსებობას კომპენსაციისთვის და სამოქალაქო რეაბილიტაციისთვის.

- ერთ-ერთი ეთნოგრაფი-მკვლევარი, მოგვიტხრობს რა ასობით ათას მაიას ტომის ინდიელზე, რომლებიც გვატემალას სადამსჯელო რაზმების მიერ განადგურდნენ 1981 და 1983 წლებში, ამტკიცებს, რომ „რასაკვირველია, ჯარის საშინელმა ქმედებებმა ღრმა ფსიქოლოგიური ჭრილობა მიაყენა ამ სოფლის მცხოვრებთა ცნობიერებას, [ამასთან, ეს მცხოვრებნი] უფრო მასშტაბური ტრავმის მსხვერპლნი გახდნენ“ (Manz 2002, 293-94). თუმცა ტრავმის ფაქტის ობიექტურობის და მის მიერ გამოწვეული ტანჯვის და ტკივილის მიუხედავად, ტრავმის კოლექტიურად გააზრების და გადამუშავების უნარი ითრგუნებოდა, რადგან ეს სოფელი იყო „ადგილი, რომელიც დუმილსა და უკანონობასთან შეგუებასაა მიჩვეული“ (ibid). 1994 წელს, გვატემალას მთავრობასა და აჯანყებულ გაერთიანებულ ფორმირებებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებისას, ისტორიული სიმართლის კომისია შექმნეს, რათა მოესმინათ დაზარალებული მხარეებისთვის და მოვლენათა ინტერპრეტაცია წარმოედგინათ. ხუთი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ დადგენილებაში წერია, რომ „გვატემალას სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ... მაიას ხალხის წინააღმდეგ გენოციდის აქტი ჩაიდინეს“ (ibid).

ეთნოგრაფმა აღნიშნა, რომ განაცხადმა „ქვეყანა გააოგნა“. ტრავმის პროცესი განვითარდა სამთავრობო დონეზე, ტკივილის ბუნების სახალხო რეპრეზენტაციით, მსხვერპლთა და დამნაშავეთა გამოვლენით და პასუხისმგებლობის გადანაწილებით: „მთელი ქვეყანა ცრემლებად დაიღვარა, ათწლეულების მანძილზე შეკავებულ ცრემლებად, შურისძიების ცრემლებად“ (ibid).

- ოთხმოცდაათიანი წლებში სამხრეთაფრიკულმა სახელმწიფომ აპარტეიდის შემდგომ პერიოდში შექმნა სიმართლის და შერიგების კომისია. კომისია შედგებოდა საყოველთაოდ პატივცემული შავკანიანი და თეთრკანიანი წევრებისგან, ისინი იწვევდნენ მოწმეებს და წინა მთავრობის მიერ განხორციელებული რეპრესიებით გამოწვეულ განცდებზე ფართომასშტაბიან მოსმენებს აწყობდნენ. ამ პროექტმა დიდწილად მოახერხა ტრავმის პროცესის გადატანა აუდიტორიის დონიდან უფრო ფართომასშტაბიან, რასობრივი ნიშნით პოლარიზებულ დონეზე და გადააქცია იგი უფრო სოლიდარული და დემოკრატიული სამხრეთაფრიკელი საზოგადოების ახალ საერთო გამოცდილებად. ამგვარი კომისიის შექმნა შეუძლებელი იყო, სანამ შავკანიანმა მოსახლეობამ ხმის უფლება და, როგორც რასამ, დომინანტური გავლენა არ მოიპოვა.
- ზემოთ მოყვანილი მაგალითებისგან განსხვავებით, ფაშინის ეპოქის შემდგომ იაპონიის მთავრობას არასოდეს გამოუხატავს ომისდროინდელი იაპონიის იმპერიის უმაღლესი პირების და ჯარისკაცების მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ოფიციალური კომისიის შექმნის სურვილი. რაც შეეხება იაპონელების მიერ ათეულობით და, შესაძლოა, ასობით ათასი, ძირითადად, კორეელი „თავშესაქცევი ქალების“ დამონებას, რომლებიც ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს იმპერიის ჯარისკაცებს სექსუალური სახის მომსახურებას უწევდნენ, იაპონიის მთავრობა, როგორც იქნა, დათანხმდა მეტნაკლებად სიმბოლური კომპენსაციის გადახდას ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილი კორეელი ქალბატონებისთვის. კრიტიკოსები კვლავ მოითხოვენ ოფიციალური კომისიისგან ამ ტრავმაზე საჯარო განხილვის მოწყობას, რომელსაც ექნება დრამატული სამართლებრივი შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის მთავრობამ ბუნდოვნად და მოკლედ სახალხოდ ბოდიში მოუხდა „თავშესაქცევ ქალებს“, ის არასოდეს ცნობდა დასაშვებად ამ პროცესის დაწყებას. ამგვარი სამთავრობო სივრცის მნიშვნელობა იმ ფაქტით მტკიცდება, რომ კრიტიკოსებმა, ბოლოს და ბოლოს, თავად გამართეს არაოფიციალური ტრიბუნალი.
- გასულ კვირას ტოკიოში კერძო იაპონურმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა სამხედრო ტრიბუნალი მოიწვიეს, რომელთაც იაპონიის სამხედრო მთავრობა, იმპერატორი ჰიროჰიტოს ჩათვლით დამნაშავედ ცნეს კაცობრიობის წინაშე ჩადენილ

დანაშაულში და იმაში, რომ ათეულობით ათასი ქალი მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის მიერ კონტროლირებადი ქვეყნებიდან სექსუალურ მონებად გადააქიეს. ტრიბუნალს არ აქვს სამართლებრივი ძალაუფლება, კომპენსაცია მოითხოვოს ცოცხლად დარჩენილი „თავშესაქცევი ქალებისთვის“. მაგრამ, რამდენადაც პროცესში ის მოსამართლეები და ადვოკატები მონაწილეობდნენ, რომლებიც ადრე ჩართული იყვნენ ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებისა და რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალებში, საკითხმა, რომელიც ნაკლებად შუქდებოდა და ისწავლებოდა იაპონიაში, უპრეცედენტო მორალური დატვირთვა შეიძინა (French 2000, A3).

სტრატეგიკაციული იერარქია. ინსტიტუციონალური სივრცეებით გამოწვეული შეზღუდვები, რაც დაკავშირებულია მატერიალური რესურსების არათანაბარ განაწილებასთან და სოციალურ ქსელთან, რაც განაპირობებს არათანაბრ წვდომას. ქვემოთ დასმული კითხვები წარმოაჩენენ პრობლემის არსს:

1. ვინ არის გაზეთის მფლობელი? რამდენად არიან ჟურნალისტები პოლიტიკური და ფინანსური კონტროლისგან დაცულნი?
2. ვინ აკონტროლებს რელიგიურ წესრიგს? ისინი შინაგანად ავტორიტარები არიან თუ კონგრეგაციის წევრებს ძალუძთ დამოუკიდებლად გავლენის მოპოვება?
3. დამოუკიდებელია თუ არა სასამართლო? მოქმედების რა სფეროა ღია პატიოსნადმოქმედი ადვოკატებისთვის?
4. განათლების პოლიტიკა რეგულირდება თუ არა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, თუ ის ბიუროკრატიული პოცედურებით შემოიფარგლება, რომელსაც ცენტრალიზებული ხელისუფლების სხვადასხვა ფენები ახორციელებენ?
5. ვინ აკონტროლებს მთავრობას?

როგორც სახელისუფლებო არენის განხილვისას აღვნიშნეთ, ადგილობრივი, რეგიონალური და ცენტრალური ხელისუფლება დიდ გავლენას ახდენს ტრავმის პროცესზე. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ორგანოებს შესაძლოა დომინანტური პოზიცია ეკავოთ თავად ტრავმირებულ მხარეებზე. ასეთ შემთხვევებში, კომისიამ შესაძლოა მოვლენის დრამატიზება კი არ მოახდინოს, არამედ დანაშაული ჩამორეცხოს დამნაშავეებს.

- ოთხმოციანი წლების ბოლოს ამერიკის და ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობები რონალდ რეიგანისა და მარგარეტ ტეთჩერის ხელმძღვანელობით, თავდაპირველად ნაკლებად უწყობდნენ ხელს აივ-ვირუსით გამოწვეული საფრთხის დრამატიზებას. მათ არ უსრდათ საზოგადოების თანაგრძნობის და თანაგანცდის სტიმულირება ჰომოსექსუალური ცხოვრების სტილის მიმართ, რომელიც სტიგმატიზირებული იყო მათი იდეოლოგიის ფარგლებში. საბოლოოდ ტეთჩერის მთავრობამ ფართომასშტაბიანი

საგანმანათლებლო კამპანია წამოიწყო აივ-ვირუსის საფრთხეებთან დაკავშირებით. ამ პროექტმა მალევე ჩააცხრო ბრიტანული საზოგადოების პანიკა შიდსის ვირუსთან მიმართებაში და ხელი შეუწყო სახელმწიფო სამედიცინო სფეროში აუცილებელი ღონისძიებების გატარებას (Thompson 1998).

- **2000** წელს კორეასთან ომის დასაწყისში, ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელდა ცნობა ნო გან რის რეგიონში ამერიკის სამხედროების მიერ რამდენიმე ასეული მშვიდობიანი კორეელი მოქალაქის დახოცვის შესახებ. მოწმე კორეელების ვარაუდებიდან და რამდენიმე ამერიკელი ჯარისკაცის ახლად აღმოჩენილი ჩვენებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ცეცხლის გახსნა წინასწარგანზრახვით მოხდა, ამიტომ ბრალი რასიზმის და საომარი დანაშაულის კუთხით წაუყენეს. ამის საპასუხოდ პრეზიდენტმა კლინტონმა ამერიკის შეერთებული შტატების არმიას უბრძანა, თავად ჩაეტარებინა ოფიციალური შიდა მოკვლევა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი რანგის სამხედრო ჩინოვნიკები ამტყობებდნენ: „ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობდით კორეის ხელისუფლებასთან ნო გან რი-ს მოვლენების გამოძიების საკითხში“, გამოძიების და ინტერპრეტაციის სადავეები ცხადად ხელთ ეპყრათ დამნაშავეებს. გასაკვირი არ არის, რომ რამდენიმე თვის შემდეგ გამოქვეყნებული გამოძიების შედეგების მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების არმია არ იქნა მიჩნეული დამნაშავედ იმ ქმედებებში, რომელიც მის სახელს უტეხდა:

*ვფიქრობთ, რომ ბოდიში მოხდა აქ უადგილოა. [თუმცა] რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე ამერიკელი ჯარისკაცების სინდისზეა, ასეთი დასკვნა მაინც მკვეთრად განსხვავდება იმ ვარაუდისგან, რომ ეს იყო კალსიკური ტიპის ხოცვა-ჟლეტა, რომ ჩვენ უდანაშაულო ხალხი კედელთან მივაყენეთ და დავხვრიტეთ. (New York Times 2000, A5).*

იდენტობის რევიზია, მეხსიერება და რუტინიზაცია.

„ტრავმული გამოცდილება“ შეიძლება გავიგოთ როგორც სოციოლოგიური პროცესი, რომელიც საზღვრავს საზოგადოებისთვის მიყენებულ მტკივნეულ ჭრილობას, ადგენს მსხვერპლს, აკისრებს პასუხისმგებლობას და ანაწილებს იდეალურ და მატერიალურ შედეგებს. რამდენადაც ხდება ტრავმის განცდა, მისი წარმოსახვა და რეპრეზენტაცია, ამდენად კოლექტიური იდენტობაც არსობრივად გადაიხედება. იდენტობის გადახედვა ნიშნავს კოლექტიური წარსულის მოგონებების ხელახალ გახსენებას, რამეთუ მეხსიერება მხოლოდ სოციალურია და მიმდინარე (Fluid), ის ასევე ღრმა კავშირშია „მე“-ს აწმყოში გააზრებასთან. იდენტობები მუდმივად კონსტრუირდება და განისაზღვრება არა მხოლოდ აწმყოსა და

წარსულთან პირპისპირ შეყრით, არამედ საზოგადოების ბევრად უფრო ადრეული პერიოდების რეკონსტრუქციით.

როდესაც კოლექტიური იდენტობის ამგავრი რეკონსტრუქცია ხდება, თანდათანობით „დამშვიდების“ პერიოდი ისადგურებს. დანიშნულების სპირალი განიმუხტება, ეფექტები და განცდები ნაკლებად ბოზოქარია, საკრალურზე და შებღალულზე კონცენტრირება სუსტდება. ქარიზმა რუტინაში გადაიზრდება, მღელვარება ნელდება, ლიმინალობას ისევ გაერთიანებისკენ მივყავართ. როდესაც ამაღლებული და მძაფრი ზეგავლენის ტრავმული დისკურსი ნელდება, მისი „გაკვეთილები“ მონუმენტების, მუზეუმების და ისტორიული არტეფაქტების შეგროვების ობიექტი ხდება.<sup>22</sup> ახალი კოლექტიური იდენტობა ფესვს იდგამს საკრალურ ადგილებში და ყალიბდება რიტუალებით. სამოცდაათიანი წლების ბოლოს ულტრა მაოისტური წითელი ქმერების (DK) მთავრობას ბრალად ედებოდა კამბოჯის მოსახლეობის ერთი მესამედის დაღუპვა. სიკვდილის მთესველი რეჟიმი 1979 წელს დაამხეს. მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო ათწლეულის მანძილზე გათიშულობამ, არასტაბილურობამ, ავტორიტარულმა რეჟიმმა ტრავმის პროცესს არ მისცა საშუალება თავიდან ბოლომდე განვითარებულიყო, რეკონსტრუქციის, რეპრეზენტაციის და ხელმეორედ განცდის (working through) პროცესმა, სამუდამოდ აღბეჭდა ის მეხსიერებაში და მოახდინა მისი რიტუალიზაცია და ეროვნული იდენტობის რეკონსტრუქცია.

- *{წითელი ქმერების} (DK) საშინელებები ცოცხლადაა აღბეჭდილი მსხვერპლთა ფოტოგრაფიებზე, მკვლელობის ამსახველ სურათებზე, წამების იარაღებში, რომლებიც ტუოლ სლენგის გენოციდის მუზეუმშია. ეს მუზეუმი ყოფილი სკოლის შენობაა, რომელიც სასიკვდილო დაკითხვების ცენტრად აქციეს.... ასევე თავის ქალების და ძვლების მონუმენტალურ ექსპოზიციაში - ბჰუნგ ეკში - მინდორში, სადაც ხალხს ხვრეტდნენ და დღემდე შესაძლებელია ძმათა სასაფლაოებზე ძვლების და ტანსაცმლის ფრაგმენტების ნახვა. PRK -მ (კამბოჯის ახალი მთავრობა) ყოველწლიური ღონისძიება სახელწოდებით - „სიძულვილის დღე“ დააწესა. ამ დროს ხალხი იკრიბება სხვადასხვა ადგილას და უსმენს „წითელი ქმერების“ მიმართ გაკეთებულ მრისხანე განცხადებებს. სახელმწიფო პროპაგანდაში ეს თემა გამოიყენებოდა ისეთი ლოზუნგებისთვის, როგორცაა - „არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგუშვათ ამ ბნელი უკუნეთის დაბრუნება“ და „მუხლჩაუხრელად უნდა ვიშრომოთ, რომ არასოდეს დაბრუნდეს .... ხალხის მკვლეელი ხროვა“. ეს მთავრობის სანქციონირებული ფორმულირებები გულწრფელი ჩანდა და ხშირად ჟღერდა ჩვეულებრივი მოქალაქეების საუბრებში (Ebihara and Ledgerwood 2002, 282- 83).*

რუტინიზაციის დროს ტრავმის პროცესი, ერთ დროს ასეთი მკვეთრი და ცოცხალი, შესაძლებელია გახდეს სპეციალისტების ტექნიკური, მშრალი განხილვების საგანი, რომლებიც აზრს ემოციას აშორებენ. ემოციის ეს ნაკლებობა ხშირად დანაწევრებით აღინიშნება იმ აუდიტორიის მიერ, რომელიც გააქტიურებული იყო სწორედ ტრავმის პროცესის გამო, ან გადამტანი (კარიერული) ჯგუფების მიერ. თუმცა ამ პროცესს ხშირად შვებით ხვდებიან საზოგადოება თუ ინდივიდუალური პირები. ტრავმული გაკვეთილების ინსტიტუციონალიზმის მცდელობები, ტრავმის პროცესის მეხსიერებაში შენახვის და უკვდავყოფის მიზნით, თანდათანობით აფერმკრთალებს ძლიერი განცდის გრძნობას, ჩნდება განცდა იმისა, რომ მოგატყუეს და ტრავმა კარგავს იმ საკრალურ სტატუსს, რომელიც წინათ ასე ძლიერ იყო მასთან დაკავშირებული. განცდების გაფერმკრთალების მიუხედავად, კოლექტიური იდენტობის რეკონსტრუქცია რჩება მომავალი სოციალური პრობლემების და კოლექტიური შემეცნების დარღვევის გადაჭრის ძირითად რესურსად.

მიუხედავად იმისა, რომ რუტინიზაციის პროცესს თავს ვერ ავარიდებთ, ეს არ აკნინებს კულტურული ტრავმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. პირიქით, ამ პროცესს სოციალური ცხოვრებისთვის ღრმა ნორმატიული შედეგები აქვს. კულტურული ტრავმის შედეგად საზოგადოების უფრო ფართო ფენები სხვათა ტკივილს იზიარებენ, რაც აფართოებს სოციალური ურთიერთგაგების და თანაგრძნობის სფეროს, ფართო გზას აძლევს სოციალური ჩართულობის ახალ ფორმებს.<sup>23</sup>

ამ განყოფილებაში მოცემული ტრავმული პროცესის ელემენტები შეიძლება სოციალურ სტრუქტურებად ჩავთვალოთ, თუ ამ ტერმინს არამატერიალური კუთხით გავიაზრებთ. თითოეული ეს ელემენტი თავის როლს თამაშობს საზოგადოებისთვის ტრავმული მოვლენის რეკონსტრუქციასა თუ დეკონსტრუქციაში. მოცემულ პროცესში ყველა სტრუქტურის არსებობა არ არის სტრუქტურული დეტერმინიზმის საკითხი. ეს დამოკიდებულია არასტრუქტურულ, გაუთვალისწინებელ ისტორიულ პერიოდზე. ომებს იგებენ ან აგებენ. ხელისუფლებაში ახალი რეჟიმი მოდის, ან დისკრედიტირებული რეჟიმი შეუპოვრად ებღაუჭება ხელისუფლებას. ჰეგემონურმა თუ დაკნინებულმა სოციალურმა ჯგუფებმა შესაძლოა მმართველობის სადავეები ჩაიგდონ ხელში, ან ენთუზიაზმით აღივსონ, ან დასუსტდნენ და გამოიფიტონ სოციალური წინააღმდეგობით და ერთი ადგილი ტკეპნონ. ამგვარი შემთხვევითი ისტორიული ფაქტები დიდ გავლენას ახდენენ ტრავმის კულტურული კლასიფიკაციისთვის ადგილის მიჩენის გადაწყვეტილებაზე.

### **ტრავმის წარმოქმნა და პრაქტიკულ მორალური ქმედებები:**

#### **არადასავლური რელიგანტურობა**

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ის საშუალო დონის თეორიები იმ რთულ მიზეზებზე, რომლებიც ტრავმის პროცესს განაპირობებენ. ამ ანალიტიკური დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ ტრავმული მოვლენების მაგალითები, დასავლურ და არადასავლურ, განვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ საზოგადოებებში - ჩრდილოეთ ირლანდიასა და პოლონეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და კამბოჯაში, იაპონიაში და იუგოსლავიაში, სამხრეთ აფრიკაში, გვატემალასა და კორეაში.

ტრავმის თეორიის დასავლური სოციალური ცხოვრების ჩარჩოებში მოქცევა არასწორი იქნებოდა. მართალია, რომ სწორედ დასავლურმა საზოგადოებებმა წარმოადგინეს ბოლო ხანს თავისი ეროვნული ისტორიის ტრავმული ეპიზოდების ყველაზე დრამატული ანალოგიები. მსოფლიოს სწორედ არადასავლური რეგიონებმა და არადასავლური მოსახლეობის ყველაზე დაუცველმა სეგმენტებმა გადაიტანეს ველაზე საშინელი ტრავმული გამოცდილება დასავლური ტრავმის მსხვერპლნი გახდნენ იმ მრავალი ჯგუფის წევრები, რომელთაც დაქვემდებარებული და მარგინალური პოზიცია ეკავათ. ამ ემპირიული შემთხვევების თეორიები მოიცავს ანულირებულ ებრაელებს, დამონებულ აფროამერიკლებს, დამარცხებულ გერმანელ ერს, დომინანტ და გადატაკებულ პოლონელებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გასაკვირი არ არის, რომ ამ ემპირიული შემთხვევების მიხედვით განვითარებული თეორიები ფართოვდება და მოიცავს დასავლური სამყაროს გარეთაც არსებულ ტრავმულ გამოცდილებას. ამ განყოფილებაში მე ვახსენე ასევე ბოშები, მაიას ტომის ინდიელები, კოსოვოელი ალბანელები, ჩინური ქალაქის მოსახლეობა და კამბოჯელი გლეხობა.

ანთროპოლოგმა ალექსანდერ ჰინტონმა აღნიშნა, რომ „მართალია ქმედებას, რომელსაც გენოციდს ვუწოდებთ, ანტიკური ფესვები აქვს, მაგრამ მისი კონცეფცია ... სრულიად თანამედროვეა“ (Hinton 2002, 25). მართლაც, ძირითადი წვლილი, რომელიც ჰინტონმა და მისმა მეგობარმა ანთროპოლოგებმა შეიტანეს თავიანთ საერთო ნაშრომში არის ის, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ეს თანამედროვე გააზრება ღრმად შეიჭრა არადასავლურ საზოგადოებებში. „კონცეფციის დონეზე“ - წერს ჰინტონი, - „ისეთი ტერმინები, როგორცაა ‘ტრავმა’, ‘განცდა’ და ‘სისასტიკე’ მოდერნულობასთანაა კავშირში“.

მასმედიაში, გენოციდის მსხვერპლნი ხშირად ‘საყოველთაო’ ტანჯვის სახეებად არიან წარმოდგენილნი, იმ სახით, რომელიც შესაძლებელია ... (განმეორებით) გადასცე ‘მთელი მსოფლიოს’ პუბლიკას, რომელიც ამ მიმდინარე მოვლენის სიმულაციაში ხედავს თავისი საკუთარი პოტენციური ტრავმის ანარეკლს. დევნილები ხშირად ადამიანური განცდის თანამედროვე მეტაფორას წარმოადგენენ. მდუმარენი და ანონიმურები, ისინი როგორც ‘მთელი კაცობრიობის’ განასახიერება არიან, ასევე იმ პრემოდერნულ და არაცივილიზებულ საფრთხისაც, რომელსაც ისინი სასწაულებრივად გადაურჩნენ ... განსაკუთრებით ‘თანამედროვე

სამყაროში', როდესაც ამგვარი სახეები და ხალხთა ჯგუფი იოლად სცდებიან ეროვნულ საზღვრებს, გენოციდი ... ქმნის დიასპორულ საზოგადოებებს, რომლებიც პოლიტიკური ინკარნაციის საფრთხეს შეიცავს (Hinton 2002, 21-22).

არ არსებობს ტრავმის თეორიის რელევანტურობის უფრო მტანჯველი მაგალითი, ვიდრე ის, თუ როგორ ეხმარება იგი დაიდლიოს ტრაგიკული სირთულეები, რომელსაც არადასავლური საზოგადოებები გენოციდის გააზრებისას ხშირად განიცდიან. იმდენად რამდენადაც გენოციდის ალბათობა დიდია ისეთ კოლექტიურ არენაზე, რომელიც არ რეგულირდება კანონით და დემოკრატიული პრინციპებით და არ ემორჩილება ფორმალური თანასწორობის პრინციპებს (Kuper 1981)<sup>24</sup>, ამდენად გასაკვირი არ არის, რომ უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე მასობრივი ჟლეტის ყველაზე კომმარული და დრამატული მაგალითები სამყაროსგან განცალკევებულ და ღარიბ არენებზე მოხდა: 500 000 მეტი ჰუტუ ტუტსის განდაგურება სამი კვირის მანძილზე რუანდაში; ოთხმოციანი წლების დასაწყისში საშინელი სამოქალაქო ომის შედეგად გვატემალაში მეგრძოლების მიერ 200 000 მაიას ტომის ინდიელთა ეთნოციდი; სამოცდაათიან წლების ბოლოს რევოლუციისას, მაოსტი „წითელი ქმერების“ - კამბოჯის მოსახლების თითქმის მესამედის განადგურება.

არადასავლურ სამყაროში ამ მასობრივი ჟლეტის გამომწვევი ტრაგიკული მიზეზების კვლევა, არ შეიძლება ჩვენი ახლანდელი კვლევის საგანი გახდეს. ამ საკითხს ეძღვნება მრავალი სოციოლოგიური ნაშრომი, რომელთა რაოდენობაც აუცილებელია კიდევ გაიზარდოს (Kleinman, Das, and Lock 1997). კულტურული ტრავმის თეორია ჩვენ გვებმარება იმ ძირითადი წინააღმდეგობების გაგებაში, რომლებიც ეხება არა გენოციდის მიზეზებს, არამედ მის შედეგებს: რატომ მოხდა, რომ მთელი ერის განადგურებისკენ მიმართული ქმედებები, რომლებიც ასეთი ტრავმული აღმოჩნდა უშაულო მსხვერპლთათვის, ასე იშვიათად აღიბეჭდებოდა საზოგადოების ფართო წრის ცნობიერებაში? რატომ არ იქცა ეს საზარელი მასობრივი ტანჯვის მოვლენები შესაბამისი ერებისთვის კოლექტიური ტანჯვის დამაჯერებელ, ხელმისაწვდომ ნარატივებად, რომ აღარაფერი ვთქვათ მსოფლიოზე მთლიანობაში? ვფიქრობ, რომ ამის მიზეზები ტრავმის იმ რთულ პროცესებში უნდა მოვიძიოთ, რომლებიც აქ არის მოყვანილი.

გერმანელების მიერ ებრაელების მასობრივმა ჟლეტამ მეოცე საუკუნეში თანამედროვე დასავლური სამყარო აშკარა კოლექტიური ტრავმის მატარებლად გახადა. თუმცა, ამ მოვლენამდე დასავლური სამყაროს ფარგლებს მიღმა არსებული ყველაზე განვითარებული საზოგადოებები სისტემატიურად ჩადიოდნენ დანაშაულს. 1938 წლის დეკემბრის დასაწყისში, ჩინეთში შეჭრილმა იაპონელმა ჯარისკაცებმა ქალაქ ნანკინის სამასი ათასი მოსახლე დახოცეს. იმპერიის უმაღლესი რანგის თანამდებობის პირთა ბრძანებით, ისინი თანამედროვე ისტორიაში ექვსი ყველაზე სისხლიანი კვირის მანძილზე უმოწყალოდ ჟლეტდნენ ხალხს. ეს არ ხდებოდა

ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებით, რაც შემდეგ გამოიყენეს ნაცისტებმა ებრაელთა მასობრივი განადგურებისას. ნაცისტების მიერ ჩადენილი მკვლევლობებისგან განსხვავებით, იაპონელთა ეს ბოროტმოქმედება არ იყო დაფარული დანარჩენი სამყაროსთვის. პირიქით, ეს ყველაფერი მეტად კრიტიკულად განწყობილი და მჭევრმეტყველი დასავლელი დამკვირვებლების თვალწინ ხდებოდა და მასიურად შუქდებოდა გავლენიანი მსოფლიო პრესით. თუმცა ამ მოვლენებიდან სამოცი წლის შემდეგაც კი, „ნანკინის გაუპატიურების“ მეხსიერებაში უკვდავყოფა ჩინეთის და შეიძლება ითქვას, ნანკინის საზღვრებს არ გასცდენია. ამ ტრავმას თითქმის არ შეუტანია წვლილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებაში, რომ არფერი ვთქვათ, ომის შემდგომი იაპონიის დემოკრატიული მთავრობის თვითშეგნებაში. როგორც ერთ-ერთი თანამედროვე მკვლევარი აღნიშნავს: „ყველაზე გამანადგურებელი ომის სტანდარტებითაც კი, ნანკინის გაუპატიურება წარმოადგენს ხალხის მასობრივი ჟღერის ერთ-ერთ უსამინლესს მაგალითს“ (Chang 1997, 5) მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა ნანკინის ეხლანდელი მოსახლეობისთვის უკიდურესად ტრავმულია, ის „დაივიწყეს მეორე მსოფლიო ომის ჰოლოკოსტის გამო“ და ის დღესდღესობით რჩება, როგორც „ბნელი საქმე“ (ibid.,6), რომლის არსებობაც, მუდმივად და წარმატებით უარყოფს იაპონიის ზოგიერთი ოფიციალური პირი.

როგორც ამ თავშია მოცემული, კოლექტიური ტრავმის არსებობის ამგვარი გაუცნობიერება და ტრავმული გაკვეთილების კოლექტიურ იდენტობაში დანერგვა, არ გამომდინარეობს უშუალოდ საწყისი მოვლენებიდან. ეს ნატურალიზმის შეცდომაა, რომელიც ტრავმის პოპულარული თეორიიდან გამომდინარეობს. ეს წარუმატებლობა უფრო დაკავშირებულია უუარობასთან, ბოლომდე მიყვანილი იქნას ის, რასაც მე ტრავმის პროცესს ვუწოდებ. იაპონიაში, ჩინეთში, ისვე როგორც რუანდაში, კამბოჯასა თუ გვატემალაში, განცხადებები კეთდებოდა ამ მნიშვნელოვან მოვლენებზე, როგორც „შორეულ ტანჯვაზე“ (Boltanski 1999).<sup>25</sup> სოციალურ-სტრუქტურული და კულტურული მიზეზების გამო, ტრავმის მატარებელმა ჯგუფებმა ვერ მოიძიეს რესურსები, ძალა თუ ინტერპრეტაციული კომპეტენცია, რომ განაცხადი ტრავმაზე ფართო ასპარეზზე გაეტანათ. არ შეიქმნა საკმაოდ დამაჯერებელი ნარატივები, ან ეს ნარატივები არ მიეწოდა ფართო აუდიტორიებს. ამ წარუმატებლობის გამო, დამნაშავეები ვერ აიძულეს მორალური პასუხისმგებლობა აეღოთ ჩადენილზე, ხოლო სოციალური ტრავმის გაკვეთილები არ იქნა უკვდავყოფილი და რიტუალიზირებული. სოციალური სოლიდარობის საზღვრები არ გაფართოვდა. პრიმორდიალური და პარტიკულარისტული იდენტობები არ შეიცვალა.

მოცემულ დასკვნაში მე შევეცადე ხაზი გამესვა ადრეული მტკიცებისთვის, რომ აქ მოყვანილი თეორია არ არის მხოლოდ ტექნიკური ან მეცნიერული. ის მოიცავს ნორმატიულ საკითხებს და

არსებითად ჰფენს ნათელს მორალურ-პრაქტიკულ ქმედებებს. როგორი მტანჯველიც არ უნდა იყოს ტრავმული პროცესი, ის აიძულებს საზოგადოებებს გადალახონ მორალური პასუხისმგებლობის ახალი საზღვრები და გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ კურსზე. ტრავმის წარმოქმნის ეს ღია და კონტინგენტური პროცესი და მისგან გამომდინარე კოლექტიური პასუხისმგებლობის გადანაწილება, ერთიანად მნიშვნელოვანია, როგორც დასავლური, ასევე არადასავლური სამყაროსთვის. კოლექტიურ ტრავმას არ აქვს გეოგრაფიული თუ კულტურული საზღვრები. კულტურული ტრავმის თეორია შეიძლება მივუსადაგოთ ყველა შემთხვევას, როდესაც საზოგადოებებს აქვთ კონსტრუირებული თუ არაკონსტრუირებული ტრავმული გამოცდილება, ასევე - ამ საზოგადოებების ყველა მცდელობას, გამოიტანონ თუ ვერ გამოიტანონ მორალური გაკვეთილები, რომლებიც შესაძლებელია ამ მოვლენებიდან გამომდინარეობს.

## შენიშვნები

1. მეტად საინტერესო საკვლევი საკითხია, ისტორიის რომელიმე მონაკვეთში დასავლური ცივილიზაციის სტანდარტებით განისაზღვრებოდა თუ არა პოპულარული წარმოდგენა გარკვეულ მოვლენებზე, როგორც „ტრავმულზე“ და იყო თუ არა ეს ენა არადასავლური საზოგადოებების კულტურული დისკურსის შემადგენელი ნაწილი გლობალიზაციამდე, თუმცა ის არ შეადგენს ჩვენი კლემის საგანს. მე გამოვიძვირე იმ წინაპირობიდან, რომ როგორც დასავლური, ისევე არადასავლური საზოგადოებების წევრები ნამდვილად ფიქრობენ ასეთ ტერმინებზე თანამედროვე გლობალიზაციის კონტექსტში. აქედან გამომდინარე, მე ვაცხადებ, რომ აქ წარმოდგენილი კულტურული ტრავმის თეორია უნივერსალურ ხასიათს ატარებს იმ გაგებით, რომ ის ეყრდნობა საწყის განსაზღვრებას და მე აღვწერ მოცემულ მოდელს როგორც დასავლური, ასევე არადასავლური მაგალითების გამოყენებით.  
წარმოდგენა იმის შესახებ, რომ კულტურული ტრავმის თეორია ყველგან გამოიყენება, იმას არ ნიშნავს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებს - დასავლურს და აღმოსავლურს, ჩრდილოურს და სამხრეთურს, - ერთნაირი ტრავმული მოვლენები აქვთ. ეს ვარაუდი მეტად შორს დგას რეალობისგან, როგორც მითითებული მაქვს მე-6 თავში.
2. ამგვარი ნატურალისტური მიდგომის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ახლახან პოზიტრონულ ემისიური ტომოგრაფიის (P.E.T.) საშუალებით ტრავმის ლოკალიზების მცდელობა ტვინის განსაზღვრულ ნაწილში. გამოსახულებაზე ტვინის სხვადასხვა ნაწილები განსხვავებული ფერებითაა გამოყოფილი. ეს გახდა ნევროლოგიური კვლევების მთავარი ინსტრუმენტი. ასეთი გამოსახულებები მოყავთ იმის დასტურად, რომ „ტრავმა ნამდვილად არსებობს“ იმდენად, რამდენადაც მას ფიზიკურ - მატერიალური განზომილება აქვს. ჩვენ არ ვაპირებთ იმის მტკიცებას, რომ ტრავმას არ აქვს მატერიალური შემადგენლობა. სოციალური ცხოვრების თითოეული ელემენტი მრავალ დონეზე არსებობს. ჩვენ უბრალოდ ვეწინააღმდეგებით ისეთ გაგებას, რომელიც აღწერს ტრავმას, როგორც სიმპტომს, რომელიც ფიზიკური თუ ბუნებრივი ფაქტორითაა გამოწვეული. ამ კუთხით ტრავმის თეორია ემსგავსება ნატურალისტურ გააზრებას, რომელიც დამკვიდრდა თანამედროვე სოციალურ ცხოვრებაში, კერძოდ, სტრესის გააზრებას. თანამედროვე ჟარგონის გამოყენებით „ხალხი სტრესს იღებს“, ანუ, სტრესი გარემოს პრობლემაა და არა აქტორების

უშუალო ქმედება, რომლებიც ქმნიან სტრესულ გარემოს თავისი სოციალური მდგომარეობის თუ კულტურული ჩარჩოების შესაბამისად.

3. ტრავმის ფსიქონალიზური მიდგომის უფრო მკაფიო მაგალითი შემოგვთავაზა ჯეფრი პრეიჯერმა (1998). ეს არის ტრავმის დათრგუნვის და გამოდევნის კვლევა ერთი პაციენტი ქალის მაგალითზე, რომელიც საუბრობდა მამის მხრიდან სექსუალურ ძალადობაზე. პეიჯერი გაცდა ტრავმის პოპულარული თეორიის ფარგლებს, და განაცხადა, რომ პაციენტის ტრავმული მოგონებები არა მხოლოდ მისი პირადი გამოცდილების შედეგი იყო, არამედ იმ მიმდინარე კულტურული გარემოსიც, რომელიც აქცენტს აკეთებს „დაკარგული მეხსიერების სინდრომზე“, და რომელმაც ფაქტობრივად შექმნა ტრავმული ფონი.
4. მეხსიერების არაფსიქონალიტიკური, ხაზგასმულად სოციოლოგიური მიდგომა, რომელიც დურკჰაიმის ტრადიციას ეყრდნობა, იხ. მნიშვნელოვანი ტექსტი: Paul Connerton, „How Societies Remember“ (1989).
5. ფსიქონალიზური გავლენის მქონე ჰუმანიტარული დისციპლინების ლაკანისეული ანალიზის გასაცნობდა, იხ. განსაკუთრებით: Caruth’s “Traumatic Awakenings: Freud, Lacan, and the Ethics of Memory,” 91 – 112 in Caruth 1996.
6. იხ. მე-3 თავში Giesen
7. ამ ტრადიციის ჩარჩოებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომის გასაცნობად, რომელმაც ნათელი მოჰფინა ამ პრობლემას, იხ: Dominick La Capra, “Representing the Holocaust : History, Theory, Trauma “(1994).
8. ყველა ციტატ ადებულია 5-7გვ.
9. შტომპკა აქცენტს აკეთებს „ქმედების“ მნიშვნელობაზე სოციალური ცვლილების თეორიისას. “Sociology in Action: The Theory of Social Becoming” (1991). “The Sociology of Social Change” (1993). იხ. ასევე: Alexander 1987 და Alexander, Giesen, Munch, and Smelser 1987.
10. „განცხადების“ კონცეფცია ამოღებულია სოციოლოგიური ლიტერატურიდან, რომელიც ეძღვნება მორალურ პანიკას. იხ: Kenneth Thompson 1998.
11. ვებერის კულტურული ცვლილების და კონფლიქტის პრობლემა შემდგომში შ.ნ. აიზენშტადტმა განავრცო - “TheAxial Age: The Emergence of Transcendental Visions and the Rise of Clerics” (1982). ახლახანს კი ბერნჰარდ გიზენმა ნაშრომში: “Intellectuals and the Nation” (1998). განმცხადებელი ჯგუფები ასევე ასოცირდებიან „ინტელექტუალურ მოძრაობასთან“, რომელიც სხვა კონტექსტში განავითარეს რონ აიერმანმა და ენდრიუ ჯემისონმა ნაშრომში: “Social Movements: A Cognitive Approach” (1994). სმელზერმა (1974) ახსნა განაცხადის გაკეთების ჯგუფური საფუძველი, რომელიც ტოკვილის “estate” რეფორმულირებაა. იხ. აგრეთვე ბიორნ ვიტროკი 1991.
12. სამეტყველო აქტების თეორიის საფუძველები შეიძლება მოვიძიოთ ჯ.ლ. ოსტინის წიგნში “How to Do Things with Words” (1962). ავტორი, პრაგმატული მიდგომით შთაგონებული, ავრცობს ამ კლასიკურ ნაშრომში მოცემულ იდეას, იმის შესახებ, რომ მეტყველება მიმართულია არა მხოლოდ სიმბოლოების გასაგებად, არამედ „ილოკუტიონარული ძალისკენ“ (illocutionary force). ეს ნიშნავს სოციალურ ურთიერთქმედებაზე პრაგმატულ გავლენას. მოცემულმა მოდელმა ყველაზე ფართო განხილვა ჰპოვა ჯონ სერლის ნაშრომში “Speech Acts” (1969). იმის დემონსტრირება, რომ თანამედროვე ფილოსოფიაში მეტყველების აქტის თეორია სოციალური ქმედების და სტრუქტურის რელევანტურია, იურგენ ჰაბერმასმა წარმოგვიდგინა წიგნში “Theory of Communicative Action”(1984). ჰაბერმასის სოციალური მოძრობის პერსპექტივის კულტურული ორიენტაციების თვალსაზრისით გასაცნობად, იხ. Maria Pia Lara, “Feminist Narratives in the Public Sphere” (1999).

13. ის ასევე განიხილავს „რეპრეზენტაციის პროცესს“. სტიუარტ ჰოლი ავითარებს მსგავს იდეას, ოდნდ ის გულისხმობს მეტ კონკრეტიკას ვიდრე მე, კერძოდ - დისკურსების შეერთება, რომლებიც არ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული პანიკის დაწყებამდე.
14. ვიეტნამის ომის შედეგად გამოწვეული შესაბამისი „ტრავმული“ რეაქციები და მსხვერპლთა ტკივილის ბუნების კონტიგენტური პროცესის გასაცნობად იხ. ჯ. ვილიამ გიბსონი 1994.
15. ეს თეზისი მოცემულია მე-6 თავში.
16. იხ. მე-4 თავი.
17. იხ. შემდეგი მე-3 თავი.
18. მაიომ შემოგვთავაზა ჩრდ. ირლანდიაში მიმდინარე პროცესების რეგულირების რეპრეზენტაცია, რომელიც მოიცავს ამ კლასიფიკაციის განსხვავებულ ასპექტებს: „არც ერთი „ძალადობაში მონაწილე პირი“ არ ეთანხმება ძალადობის მიზეზებს და მის ბუნებას. მხოლოდ IRA-ს მომხრეები და გაცილებით ნაკლებად ნაციონალური ჯგუფის წევრები დაეთანხმებოდნენ იმას, რომ ნამდვილ „ომს“ აქვს ადგილი. უნიონისტების დაჯგუფების არსებითი ნაწილისთვის, პასუხისმგებლობა სრულად IRA-ს კისერზეა. „მთელი ჩვენი საზოგადოება და მთლიანი ქვეყანა, უკანასკნელი აცდაათი წლის მანძილზე IRA-ს მსხვერპლია“, განაცხადა იან პეისლი ჯუნორმა. ... „ისევე როგორც სხვა საკითხები, რომელსაც იხილავდნენ ხელშეკრებებზე ხელის მოსაწერად ვნების პარასკევს, ასევე საკითხები მსხვერპლთა შესახებ, ძალზედ ემოციური და ურთიერთსაწინააღმდეგო აღმოჩნდა....ეს ის თემებია, რომლებმაც ყველა მონაწილეს საშუალება მისცა გამოეხატა თავისი განაწყენება და სიბრაზე და საკითხი - რომელმაც ყველა მხრიდან სხვადასხვაგვარი რექცია გამოიწვია. “მსხვერპლის“ განსაზღვრებისას ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები დაფიქსირდა, რადგან მხარეები ვერ შეთანხმდნენ კერძოდ ხალხის რომელი ჯგუფი მიეკუთვნებოდა მას“.
19. გამჭვირვალობის ცნება, რასაც ჰაბერმანი „ეთიკურ დისკურსს“ უწოდებდა და რომელიც აუცილებელია ნორმატიული და ფილოსოფიური თეორიის შესაქმნელად, სოციოლოგიური თეორიისთვის დმდუპველია.
20. იხ. გიზენის თავი.
21. სმელზერმა აღწერა სახელმწიფო უწყებები და სხვა მოქმედი პირები, რომლებიც სოციალურ კონტროლს ახორციელებენ, როგორ არ იშურებენ ძალისხმევას „იმუშავონ და სწორი მიმართულება მისცენ“ იმ პროცესს, რომელსაც მე ტრავმულს ვუწოდებ.
22. თუ არ ხდება მეხსიერებაში უკვდავყოფა, ეს ნიშნავს, რომ ტრავმული განცდები ან არ იქნა წარმოდგენილი დამაჯერებელი ნარატივის სახით, ან არ იქნა გატანილი უშუალოდ დაზარალებული ჯგუფის ფარგლებს მიღმა. მაგალითად ასეთი მდგომარეობა ცხადად ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ აფრიკელების დამონების 350 - წლიან ისტორიაში. მე- 3 თავში რომ აიერმანი გვიჩვენებს შავკანიანთა ეს გამოცდილება როგორ გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მათი იდენტობის ფორმირების საფუძვლი. თეთრკანიანმა ამერიკელებმა სამოციან და სამოცდაათიან წლებში დაიწყეს მოძრაობა, რომელსაც „მეორე რეკონსტრუქცია“ უწოდეს. მიუხედავად იმისა, რომ მონობის რეპრეზენტაცია, რომელიც ეყრდნობოდა რეალურ თუ გამოგონილ ტრავმულ ფაქტებს მასმედიაში გავრცელდა არა მხოლოდ შავკანიანებისთვის, არამედ თეთრკანიანებისთვისაც, „თეთრმა“ ხელისუფლებამ არ შექმნა მუზეუმები მონობის ტრავმის მეხსიერებაში უკვდავყოფის მიზნით. „ნიუ იორკ თაიმსის“ ცოტა ხნის წინანდელ წერილში მხატვრულადაა მითითებული ამგვარი მუზეუმების და აქედნა გამომდინარე - თეთრკანიანთა და შავკანიანთა სოლიდარობის არარსებობა: „რედაქტორს: საკითხი, რომ ქალაქ ნიუ იორკში ქვემო მანჰეტენზე მდებარე სასამართლოს შენობა “Tweed Courthouse” - გამოვიყენოთ მონობის ისოტრიის მუზეუმად.... იწვევს შეკითხვას: რატომ არ არსებობს მონობის ისტორიის საერთო ეროვნული მუზეუმი? შეიძლება აწარმოვიდგინოთ ის ღრმა საგანმანათლებლო და ემოციური ზეგავლენა, რასაც ამ ისტორიულ პერიოდს მიძღვნილი ასეთი მასშტაბური დაწესებულება

ყველა ამერიკელზე მოახდენდა. განიხილავს ახლახან არჩეული პრეზიდენტი - ჯორჯ ვ. ბუში ამგვარი პროექტის წამოწევის შესაძლებლობას ჩვენ დედაქალაქში ხალხის გასაერთიანებლად?" (New York Times, December 19, 2000, sec.1).

23. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინსტიტუციონალიზმის ბუნებაზე თეორიულ წინააღმდეგობრივ შეხედულებებს აქვს არა მხოლოდ ემპირიული, არამედ მორალური შედეგებიც. მაგალითად უახლესი წარუსლის ტრავმული მოვლენების რუტინიზაციამ, რაც დაკავშირებულია უკანასკნელი ათწლეულების დემოკრატიულ ცვლილებებზე, წარმოქმნა სპეციალისტთა ახალი კატეგორია, რომლებიც შორს დგანან მშრალი და ინსტრუმენტალური მიდგომისგან და რომლებიც ცდილობენ მორალური თანაგანცდისა და პასუხისმგებლობის გავრცელებას. ამ წიგნის ბეჭდვის პეიროდში, "ნიუ იორკ თაიმსმა" გამოქვეყნა სტატია შემდეგი სათაურით: „ტრავმული წარსულის მქონე ხალხების განკურნების ახალი საშუალება“. ვოლ სტრიტის ერთ-ერთ დროებით ოფისში, ადამიანის უფლებათა დაცვის ახალმა საერთაშორისო ჯგუფმა მუშობა დაიწყო თოთხმეტ ქვეყანასთან, ეხმარებოდა რა მათ უახლოესი წარსულის მიერ დარჩენილი პრობლემების გადალახვაში. გარდამავალი პერიოდის სამართლიანობის საკითხების საერთაშორისო ცენტრმა კარი პირველ მარტს გააღო ფონდის ფონდის მხარდაჭერით და ალექს ბორეინის - სამხრეთ აფრიკაში სიმართლის და შერიგების კომისიის შემქმნელის თაოსნობით. სამხრეთაფრიკულმა კომისიამ ორგანიზება გაუკეთა საჯარო მოსმენას, სადაც როგორც დაზარალებულებმა, ასევე დამნაშავეებმა აპარტეიდის პერიოდში უფლებების დარღვევის თავიანთი ისტორიები წარმოადგინეს. რადგან სულ უფრო მეტი ქვეყანა მიმართავს სიმართლის კომისიას წარსულის ჭრილობების მოსაშუშებლად, ადამიანის უფლებების დაცვის ჯგუფები და მმართველი წრეები მრავალ ქვეყანაში, აზიაში, სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში და ევროპაში ითხოვენ რჩევებს, ინფორმაციებს და ტექნიკურ მხარდაჭერას მათ, ვინ უკვე განვლო ეს პროცესი... ფონდმა... სთხოვა ბატონ ბორეინს...შემუშავებინა ცენტრის პროექტი, რომელიც ამ სფეროში კვლევას ჩაატარებდა და დაეხმარებოდა იმ ქვეყნებს, რომლებმაც სახელმწიფოებრივი ტერორი თუ სამოქალაქო ომები გადაიატანეს... „იმ დღეს, როდესაც ჩვენ დაფინანსება მივიღეთ, ჩვენ სხვათა შორის პერუში გახლდით და მას შემდეგ მუშაობა უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს“. (July 29, 2001, A5).
24. ამ საკითხის ერთ-ერთ პირველი და საუკეთესო განხილვა იხ. კუპერი 1981.
25. ამ საინტერესო წიგნში, თანამედროვეობის ერთ-ერთი ყელაზე უფრო დიდი წონის მქონე ფრანგი სოციოლოგი გვთავაზობს დამაჯერებელ არგუმენტებს მასობრივი ტანჯვის მორალურ რელევანტურობას გლობალურ სახეებთან. მაგრამ აქ არ არის ახსნილი იმ მიზეზის კომპლექსურობა, სად და როდისაა მსგავსი სახეები დამაჯერებელი და სად არა.

**რეფერატი მოამზადა თამარ მურუსიძემ**